სს „საქართველოს ბანკი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2020 წ.
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 4
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 5

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 6
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 34
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 42
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 46
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 46
8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 47
9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 48
10. აქტივების გამოყენების უფლება, საიჯარო ვალდებულებები და ძირითადი საშუალებები 69
11. საინვესტიციო ქონება 72
12. გუდვილი 72
13. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში 74
14. გადასახადები 74
15. სხვა აქტივები და ვალდებულებები 77
16. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები 78
17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე 78
18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 80
19. პირობითი ვალდებულებები 81
20. საკუთარი კაპიტალი 82
21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 84
22. წმინდა საკომისიო შემოსავალი 84
23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი და სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 86
24. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 87
25. წმინდა არარეგულარული მუხლები 88
26. წილობრივი გადახდები 88
27. რისკის მართვა 91
28. სამართლიანი ღირებულების შეფასება 113
29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 118
30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 121
31. კაპიტალის ადეკვატურობა 122
32. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები 124

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი ინდივიდუალური საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის“ („დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების“ ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში.

ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“,* აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შევაფასებდით ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	**როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
ვინაიდან მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი მნიშვნელოვანია ბანკის ფინანსური მდგომარეობისთვის და ახლად მიღებული ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ („ფასს 9“) მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა კომპლექსურია და განსჯას საჭიროებს, ეს საკითხი აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად მივიჩნიეთ. დანაკარგების გამო სესხების გაუფასურება გამოითვლება ერთდროულად კოლექტიური დარეზერვების მოდელითა და დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე ინდივიდუალური სასესხო რეზერვის შექმნით, და აგრეთვე რეგრესული საპროგნოზო შეფასებების საფუძველზე. კოლექტიური და ინდივიდუალური დარეზერვება დამოკიდებულია მთელ რიგ დაშვებასა და განსჯაზე. მაგალითად:	ჩვენ შევისწავლეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენის პროცესი და შევაფასეთ კონტროლის იმ ძირითადი მექანიზმების მოწყობა და ქმედუნარიანობა, რომლებიც მოიცავდა ინდივიდუალური რეზერვის შექმნისთვის სესხების იდენტიფიკაციის, რისკის შესაბამისი დონის მიხედვით მსესხებლების კლასიფიკაციის და გაუფასურების ეტაპების, საკრედიტო მონიტორინგის, მონაცემთა სიზუსტისა და სისრულის კონტროლს. კონტროლის ავტომატიზებული მექანიზმების შემოწმებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩვენი სპეციალისტები ჩავრთეთ. აუდიტის განმავლობაში, ძირითადად, შემდეგი საკითხები გავაანალიზეთ: • შევაფასეთ საკრედიტო რისკის მოდელები და დაშვებები, რომლებიც გამოყენებულია დარეზერვების ძირითადი პარამეტრების დადგენისა და თითოეული პორტფელისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განსაზღვრისთვის;

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
► მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელ მოდელში გამოყენებული სააღრიცხვო ინტერპრეტაციები და დაშვებები; ► სესხების განაწილება პირველ, მეორე, მესამე სტადიებზე ან შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ კატეგორიაზე ფასს 9-ით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, COVID-19-ის გავლენის და მასთან დაკავშირებული შეღავათების გათვალისწინებით, როგორიცაა გადახდის გადავადება და საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოვლენა; ► სხვადასხვა ეკონომიკური სცენარის შედეგის წინასწარ შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და დაშვებები, მათ შორის COVID-19-ის გავლენის ქვეშ მყოფი სცენარებისა, მათში 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შესულ ცვლილებებთან ერთად; ► მოდელირების შემდგომი კორექტირებების მართებულობა, სისრულე და შეფასება, სხვადასხვა დაშვების ეფექტების ორმაგი ანგარიშის რისკის ჩათვლით; ► დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების განსაზღვრა, უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით, და ► ინდივიდუალურად დადგენილი რეზერვების შეფასება, მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და უზრუნველყოფის საგნის შეფასების ჩათვლით.	• შევაფასეთ ხელმძღვანელობის განსჯა, რომელსაც იგი ეყრდნობა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ინდივიდუალურად და კოლექტიურად დადგენისას, რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით; • შევამოწმეთ სესხების გადანაწილება გაუფასურების შესაბამის ეტაპებზე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით; • შევამოწმეთ პროგნოზირებული სამომავლო ფულადი ნაკადები, უზრუნველყოფის საგნიდან მიღებული ფულადი ნაკადების ჩათვლით, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლებზე გაცემულ მნიშვნელოვნად გაუფასურებულ სესხებსა და ავანსებს. • მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაზე COVID-19-ის პანდემიის გამო არსებული ეკონომიკური სიტუაციის ეფექტის შეფასებასთან დაკავშირებით ხელმძღვანელობის განსჯის შეფასება. ჩვენს აუდიტის პროცედურებში შედიოდა ბანკის მიერ შემუშავებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის შეფასება, რომლითაც იგი ქმნის რეზერვებს მომხმარებლებზე გაცემული სესხებისა და ავანსებისთვის. ჩვენ შევაფასეთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული საკრედიტო რისკის ფაქტორები და ნორმები იმის დასადგენად, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა - ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
▸ ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების სიზუსტე და ადეკვატურობა. რეზერვის დადგენისას გამოყენებული განსჯის, მიმდინარე წელს გაზრდილი განუსაზღვრელობისა და მოდელირების სხვადასხვა ხერხის გამო, დაშვებებმა და პროგნოზებმა შეიძლება განაპირობოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული რეზერვი. მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია შესულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის დართულ მე-9 შენიშვნაში *„მომხმარებლებზე გაცემული სესხები“* და 27-ე შენიშვნაში *„რისკის მართვა“.*	შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული სესხები ინდივიდუალურად შევაფასეთ, რათა დაგვედგინა შესაფერის სტადიაზე იყვნენ თუ არა განაწილებულები, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ან დეფოლტის პოტენციური მაჩვენებლების გათვალისწინებით და ასევე შევაფასეთ სტადიებს შორის გადატანის საფუძველი. შევაფასეთ საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობის მიერ შერჩეული კრიტერიუმების გამოყენების თანმიმდევრულობა და შევაფასეთ მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებების მართებულობა. კოლექტიურად შეფასებული რეზერვის შესამოწმებლად, მოდელირების ჩვენი შიდა სპეციალისტების მხარდაჭერით შევაფასეთ საბაზისო სტატისტიკური მოდელები, მთავარი ამოსავალი მონაცემები და გამოყენებული დაშვებები და ასევე შევაფასეთ საპროგნოზო ინფორმაციის ჩართვა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშებაში. ჩვენ შევაფასეთ მოდელირების შემდგომი კორექტირებები, რომლებიც გამოყენებულია COVID-19-ის გამო მოდელის არაეფექტურობაზე რეაგირების მიზნით და რისკის შემთხვევის გამო მოდელირებული შედეგის ზრდა. მოდელირების ჩვენი სპეციალისტების დახმარებით, ჩვენ შევაფასეთ ამ განსჯის სისრულე და მართებულობა გამოყენებული განსჯისა და მეთოდოლოგიის გაანალიზებით.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
	შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ საკრედიტო რისკით მნიშვნელოვნად გაუფასურებული კორპორაციული კრედიტები და საფუძვლიანად შევამოწმეთ სამომავლო ფულადი ნაკადების შესახებ დაშვებები, უზრუნველყოფის საგნის ღირებულებისა და მოსალოდნელი შედეგების დადგომის ალბათობების ჩათვლით. ყურადღება გავამახვილეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაზე იმ მსესხებლების შემთხვევაში, რომლებიც ყველაზე მეტად დააზარალა COVID-19-ის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. შევაფასეთ მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ განმარტებითი შენიშვნების საკმარისობა და მართებულობა.
აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	**როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში**
საინვესტიციო ქონების შეფასება	
ბანკი საინვესტიციო უძრავი ქონებისთვის სამართლიანი ღირებულების მოდელს იყენებს. ბანკმა საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების დასადგენად პროფესიონალი შემფასებელი დაიქირავა. უძრავი ქონების შეფასებას ახასიათებს გაურკვევლობა და ეყრდნობა ვარაუდებს. ამასთან, ბანკის უძრავი ქონება ძირითადად საქართველოში მდებარეობს, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რის გამოც იზრდება ამ შეფასებებში განსჯის გამოყენების აუცილებლობა. ეს შეფასებები, მათი დიდი მნიშვნელობისა და სუბიექტური ხასიათის გამო აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხია.	ბანკის შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული, ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი უძრავი ქონების ობიექტების ღირებულების დასადგენად შეფასების ანალიზში ჩავრთეთ ჩვენი უძრავი ქონების შეფასების სპეციალისტები. სპეციალისტებმა ასევე შეაფასეს ბანკის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების კომპეტენტურობა და ობიექტურობა, გააანალიზეს გამოყენებული მეთოდები და დაშვებები და შეამოწმეს შემფასებლების მიერ წარმოდგენილი მონაცემები. ყურადღება გავამახვილეთ ხელმძღვანელობის განსჯაზე, რომელიც ეხებოდა არსებული ეკონომიკური ვითარების გაუარესების გავლენას უძრავი ქონების შეფასებაზე.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხი	როგორ მივუდექით ამ საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი და ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ გამოყენება	
2020 წელს COVID-19-ს პანდემიის გამო არსებული ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებისა და ბიზნესსაქმიანობის შემდგომი დაღმასვლის შედეგად გაიზარდა უძრავი ქონების აქტივების სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, მათ შორის ისეთი ძირითადი დაშვებების განუსაზღვრელობა, როგორიცაა მომავალი საიჯარო შემოსავალი და შენობის დატვირთვის მაჩვენებელი. აქტიური ბაზრის არარსებობაც ართულებს სათანადო სამართლიანი ღირებულებების დადგენას. საინვესტიციო ქონების შეფასების შესახებ ინფორმაცია ასახულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ მე-3 შენიშვნაში „სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები“, მე-11 შენიშვნაში „საინვესტიციო ქონება“ და 28-ე შენიშვნაში „სამართლიანი ღირებულების შეფასება“.	განვიხილეთ, რამდენადაა აღიარებული შეფასების შედეგები და ბანკის განმარტებები საინვესტიციო ქონების შეფასებასთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია ასახულია ბანკის 2020 წლის წლიურ ანგარიშში.

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და მასთან დაკავშირებით ჩვენ არც ახლა და არც მომავალში გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვების საფუძველზე აღრიცხვის გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენას. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ საფრთხეების აღმოფხვრისთვის ან რისკის შემცირებისთვის მიღებულ ზომებს.

აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

Building a better working world

აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.



ოლეგ იუშენკოვი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 26 აპრილი

აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეულმა უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელი.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ოლეგ იუშენკოვი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2021 წლის 26 აპრილი

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	2020	2019	2018
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,828,236	1,933,646	1,109,388
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,986,555	1,600,387	1,282,764
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	2,419,013	1,679,450	1,864,818
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9	13,200,987	11,063,789	8,722,944
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		1,186	1,031	18,780
გადახდილი ავანსები		37,451	34,849	42,885
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,795	5,719	8,377
აქტივების გამოყენების უფლება	10	77,763	90,039	-
საინვესტიციო ქონება	11	219,005	204,885	132,327
ძირითადი საშუალებები	10	330,269	322,576	294,647
გუდვილი	12	33,453	33,453	33,453
არამატერიალური აქტივები		104,282	90,224	72,802
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	13	151,311	151,311	158,981
მოგების გადასახადის აქტივები	14	21,325	-	19,159
სხვა აქტივები	15	272,568	102,622	93,942
გასაყიდად გამიზნული აქტივები		60,859	36,285	42,408
სულ აქტივები		**20,750,058**	**17,350,266**	**13,897,675**
ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	16	13,496,478	9,537,203	7,811,761
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	17	2,830,706	3,479,369	2,559,277
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	1,450,598	1,998,803	1,635,929
საიჯარო ვალდებულებები	10	89,812	88,535	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		46,318	44,070	40,038
მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	59,663	35,608	23,459
სხვა ვალდებულებები	15	301,287	97,957	59,721
სულ ვალდებულებები		**18,274,862**	**15,281,545**	**12,130,185**
კაპიტალი	20			
სააქციო კაპიტალი		27,994	27,994	27,994
დამატებით შეტანილი კაპიტალი		216,227	183,084	173,278
გამოსყიდული აქციები		(10)	(10)	(9)
სხვა რეზერვები		60,848	(13,763)	33,341
გაუნაწილებელი მოგება		2,170,137	1,871,416	1,532,886
სულ კაპიტალი		**2,475,196**	**2,068,721**	**1,767,490**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**20,750,058**	**17,350,266**	**13,897,675**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

ნილ ჯანინი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

26 აპრილი, 2021 წ.

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*	*2018*
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	1,828,236	1,933,646	1,109,388
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,986,555	1,600,387	1,282,764
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	2,419,013	1,679,450	1,864,818
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	9	13,200,987	11,063,789	8,722,944
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები		1,186	1,031	18,780
გადახდილი ავანსები		37,451	34,849	42,885
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		5,795	5,719	8,377
აქტივების გამოყენების უფლება	10	77,763	90,039	-
საინვესტიციო ქონება	11	219,005	204,885	132,327
ძირითადი საშუალებები	10	330,269	322,576	294,647
გუდვილი	12	33,453	33,453	33,453
არამატერიალური აქტივები		104,282	90,224	72,802
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	13	151,311	151,311	158,981
მოგების გადასახადის აქტივები	14	21,325	-	19,159
სხვა აქტივები	15	272,568	102,622	93,942
გასაყიდად გამიზნული აქტივები		60,859	36,285	42,408
სულ აქტივები		**20,750,058**	**17,350,266**	**13,897,675**
ვალდებულებები				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	16	13,496,478	9,537,203	7,811,761
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	17	2,830,706	3,479,369	2,559,277
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	18	1,450,598	1,998,803	1,635,929
საიჯარო ვალდებულებები	10	89,812	88,535	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი		46,318	44,070	40,038
მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	59,663	35,608	23,459
სხვა ვალდებულებები	15	301,287	97,957	59,721
სულ ვალდებულებები		**18,274,862**	**15,281,545**	**12,130,185**
კაპიტალი	20			
სააქციო კაპიტალი		27,994	27,994	27,994
დამატებით შეტანილი კაპიტალი		216,227	183,084	173,278
გამოსყიდული აქციები		(10)	(10)	(9)
სხვა რეზერვები		60,848	(13,763)	33,341
გაუნაწილებელი მოგება		2,170,137	1,871,416	1,532,886
სულ კაპიტალი		**2,475,196**	**2,068,721**	**1,767,490**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**20,750,058**	**17,350,266**	**13,897,675**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

ნილ ჯანინი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

26 აპრილი, 2021 წ.

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020*	*2019*	*2018*
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი		1,471,673	1,330,854	1,247,608
სხვა საპროცენტო შემოსავალი		516	547	2,194
საპროცენტო შემოსავალი		**1,472,189**	**1,331,401**	**1,249,802**
საპროცენტო ხარჯი		(747,925)	(581,597)	(547,293)
ანაბრის დაზღვევის საკომისიო		(9,106)	(6,359)	(4,847)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	21	**715,158**	**743,445**	**697,662**
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		255,224	263,734	210,693
საკომისიო ხარჯი		(124,895)	(118,902)	(89,078)
წმინდა საკომისიო ხარჯი	22	**130,329**	**144,832**	**121,615**
წმინდა სავალუტო შემოსულობა		96,551	98,370	109,676
სხვა წმინდა შემოსავალი		40,314	15,573	3,352
საოპერაციო შემოსავალი		**982,352**	**1,002,220**	**932,305**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	23	(196,663)	(201,671)	(182,360)
ადმინისტრაციული ხარჯები	23	(84,612)	(85,139)	(96,698)
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება	10	(70,775)	(68,826)	(40,790)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(3,942)	(3,949)	(2,687)
საოპერაციო ხარჯები		**(355,992)**	**(359,585)**	**(322,535)**
მოგება მეკავშირე საწარმოებიდან		782	789	1,339
საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე		**627,142**	**643,424**	**611,109**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	24	(236,828)	(85,970)	(137,618)
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	24	(8)	7	74
სხვა მოსალოდნელი საკრედიტო (ზარალი) / ზარალის აღდგენა	24	(22,748)	127	(1,516)
სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვის ხარჯი და ანარიცხები		(9,514)	(10,146)	(17,040)
რისკის ხარჯი		**(269,098)**	**(95,982)**	**(156,100)**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე		**358,044**	**547,442**	**455,009**
წმინდა არარეგულარული მუხლები	25	(41,291)	(12,279)	(68,812)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე		**316,753**	**535,163**	**386,197**
მოგების გადასახადის ხარჯი	14	(18,032)	(57,433)	(52,895)
წლის მოგება		**298,721**	**477,730**	**333,302**
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე	20	10.6747	17.0716	11.9777

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019	2018
წლის მოგება		**298,721**	**477,730**	**333,302**
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი)				
სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:				
– წმინდა ცვლილება სავალო ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციების სამართლიან ღირებულებაში, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	8	78,224	(40,705)	1,676
– რეალიზებული (შემოსულობა) ზარალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(2,965)	(6,219)	1,743
– ცვლილება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში, იმ სავალო ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(130)	(125)	827
– მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	14	-	-	(140)
წმინდა სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის რეკლასიფიცირებაც ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში		**75,129**	**(47,049)**	**4,106**
სხვა სრული ზარალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში:				
– საინვესტიციო ქონებაში რეკლასიფიცირებული ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	-	1,043
– წმინდა ზარალი წილობრივ ინსტრუმენტებში განხორციელებულ ინვესტიციებზე, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით		(518)	(55)	(2,525)
წმინდა სხვა სრული ზარალი, რომლის რეკლასიფიცირებაც არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგებაში ან ზარალში		**(518)**	**(55)**	**(1,482)**
წლის სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), გადასახადის შემდეგ		**74,611**	**(47,104)**	**2,624**
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		**373,332**	**430,626**	**335,926**

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საკუთარი კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გამოსყიდული აქციები	სხვა რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	**27,821**	**140,358**	**(9)**	**29,216**	**1,339,166**	**1,536,552**
ფასს (IFRS) 15ის მიღება	-	-		-	(15,759)	(15,759)
ფასს (IFRS) 9-ის მიღება	-	-		- 2,719	(5,041)	(2,322)
2018 წლის 1 იანვარი	**27,821**	**140,358**	**(9)**	**31,935**	**1,318,366**	**1,518,471**
წლის მოგება	-	-		-	333,302	333,302
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-		- 2,624	-	2,624
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**2,624**	**333,302**	**335,926**
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის გადატანა, გადასახადების გამოკლებით	-	-		- (3,743)	3,743	-
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	82,483		- -	-	82,483
ბანკის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები (იხ. შენიშვნა 20)	-	-		- -	(120,000)	(120,000)
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების გაყიდვა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, „ჯორჯია კაპიტალის“ აქციები	-	-		- 2,525	(2,525)	-
თანამშრომლებისთვის საინვესტიციო საქმიანობის აქციების გადაცემა, გამოყოფის შედეგად	-	2,649		- -	-	2,649
საკუთარი კაპიტალის გამოშვება (იხ. შენიშვნა 20)	173	13,145		- -	-	13,318
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გეგმის ფარგლებში (იხ. შენიშვნა 26)	-	(65,357)		- -	-	(65,357)
2018 წლის 31 დეკემბერი	**27,994**	**173,278**	**(9)**	**33,341**	**1,532,886**	**1,767,490**
წლის მოგება	-	-		- -	477,730	477,730
წლის სხვა სრული ზარალი	-	-		- (47,104)	-	(47,104)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**(47,104)**	**477,730**	**430,626**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	61,114		- -	-	61,114
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(106)		(1) -	-	(107)
ბანკის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები (იხ. შენიშვნა 20)	-	-		- -	(139,200)	(139,200)
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გეგმის ფარგლებში (იხ. შენიშვნა 26)	-	(51,202)		- -	-	(51,202)
2019 წლის 31 დეკემბერი	**27,994**	**183,084**	**(10)**	**(13,763)**	**1,871,416**	**2,068,721**
წლის მოგება	-	-		- -	298,721	298,721
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-		- 74,611	-	74,611
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**74,611**	**298,721**	**373,332**
საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდების შედეგად	-	54,200		- -	-	54,200
გაცემები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გეგმის ფარგლებში (იხ. შენიშვნა 26)	-	(21,057)		- -	-	(21,057)
2020 წლის 31 დეკემბერი	**27,994**	**216,227**	**(10)**	**60,848**	**2,170,137**	**2,475,196**

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2020	2019	2018
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები				
მიღებული პროცენტი		1,331,561	1,301,682	1,228,822
გადახდილი პროცენტი		(748,192)	(571,171)	(524,845)
მიღებული საკომისიო		266,640	240,515	254,416
გადახდილი საკომისიო		(124,895)	(118,902)	(89,078)
წმინდა რეალიზებული შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან		83,638	89,028	81,724
მომხმარებლებზე გაცემული ჩამოწერილი სესხების ამოღება	9	42,562	31,897	35,306
წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული (წარმოებულ ინსტრუმენტებში გადახდილი) ფულადი სახსრები		1,601	(11,812)	-
სხვა მიღებული შემოსავალი		3,232	1,012	35,409
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(142,463)	(145,039)	(132,469)
გადახდილი ზოგადი, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		(86,520)	(66,019)	(103,783)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, საბრუნავ კაპიტალში საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**627,164**	**751,191**	**785,502**
საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა) კლება:				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(138,730)	(203,247)	(39,100)
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები		(1,294,377)	(2,001,413)	(1,685,144)
ავანსები და სხვა აქტივები		8,858	27,918	(95,099)
საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა (კლება):				
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე		(831,042)	831,010	(460,307)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(164,717)	(11,541)	897,650
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები		2,950,630	1,259,863	839,468
სხვა ვალდებულებები		(27,427)	22,057	17,703
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადის გადახდამდე		**1,130,359**	**675,838**	**260,673**
გადახდილი მოგების გადასახადი		(15,302)	(26,125)	(61,699)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**1,115,057**	**649,713**	**198,974**
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული) მიღებული ფულადი ნაკადები				
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წმინდა (შეძენა) გაყიდვა		(654,868)	135,718	(320,028)
შემოსულობა საინვესტიციო ქონებისა და გასაყიდად გამიზნული აქტივების გაყიდვიდან		69,741	43,894	85,143
შემოსავალი ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		390	5,163	1,299
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(91,849)	(90,326)	(90,046)
მიღებული დივიდენდები		632	211	-
საინვესტიციო საქმიანობაში (გამოყენებული) მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(675,954)**	**94,660**	**(323,632)**
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) მიღებული ფულადი ნაკადები				
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უკან გამოსყიდვა		(120,549)	-	-
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირი თანხის დაფარვა		(440,410)	-	-
შემოსულობა დამატებითი პირველადი კაპიტალის სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან		-	268,160	-
საიჯარო ვალდებულებების ძირი ნაწილის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები		(8,691)	(5,959)	-
გადახდილი დივიდენდები		(33)	(138,926)	(120,000)
შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გეგმის ფარგლებში (26-ე შენიშვნა)		(21,057)	(51,202)	(65,357)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა		-	(107)	-
წილების შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში		(604)	(1,088)	(1,343)
სააქციო კაპიტალის გამოშვება (მე-20 შენიშვნა)		-	-	13,318
ფინანსურ საქმიანობაში (გამოყენებული) მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(591,344)**	**70,878**	**(173,382)**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		46,775	9,016	5,665
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		56	(9)	(118)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა (შემცირება) ზრდა		**(105,410)**	**824,258**	**(292,493)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	6	**1,933,646**	**1,109,388**	**1,401,881**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წლის ბოლოს	6	**1,828,236**	**1,933,646**	**1,109,388**

6 - 124 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) 1994 წლის 21 ოქტომბერს დაარსდა როგორც სააქციო საზოგადოება („სს“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკის ძირითადი საქმიანობაა საბანკო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ და აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ბანკის 211 ფილიალი მოქმედებს (2019 წლის 31 დეკემბერი: 272, 2018 წლის 31 დეკემბერი: 276). ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29. ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერია 204378869.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფი“ („საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო“, ყოფილი საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჰოლდინგი“) იყო ინგლისსა და უელსში დაფუძნებული საჯარო სააქციო საზოგადოება და წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას. 2012 წლის 28 თებერვლიდან საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეოს“ აქციები განთავსდა დიდი ბრიტანეთის ლისტინგის ორგანოს ოფიციალური სიის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში და სავაჭრო სისტემაში დაშვებული იქნა საჯარო სააქციო საზოგადოება „ლონდონის საფონდო ბირჟის“ რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების ძირითად ბაზარზე.

2015 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც სებ-მა განიზრახა საქართველოში მოქმედი ბანკების ინდივიდუალურად დარეგულირება და ამით ადგილობრივად დარეგულირებული საბანკო ერთეულების ინვესტიციების შეზღუდვა ისეთ შვილობილ კომპანიებში, რომლებიც არასაბანკო საქმიანობას ეწევიან, ბანკმა დაასრულა იურიდიული რესტრუქტურიზაცია. ამის შედეგად, საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეომ“, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკის მშობელ კომპანიად დააფუძნა ახალი ჰოლდინგური კომპანია - სს „ბიჯეო ჯგუფი“ (შემდგომში „სს „ბიჯეო“).

2017 წლის 3 ივლისს საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფმა“ განაცხადა, რომ 2018 წლის პირველი ნახევრის ბოლოსთვის იგი ორ მიმართულებად - ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო ბიზნესის მიმართულებად - საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფად“ და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო ბიზნესის მიმართულებად - საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალად“ დაიყოფოდა. აღნიშნული გაყოფა (შემდგომში „გაყოფა“) 2018 წლის 29 მაისს დასრულდა, რის შედეგადაც, საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ (შემდგომში „საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“) გახდა სს „ბიჯეო ჯგუფის“ 100%-იანი აქციონერი, რომელიც ბანკის მთავარი აქციონერია. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯეო“ ბანკის მთავარი აქციონერი იყო:

აქციონერი	*2020 წლის 31 დეკემბერი*	*2019 წლის 31 დეკემბერი*	*2018 წლის 31 დეკემბერი*
სს „ბიჯეო ჯგუფი“	79.78%	79.78%	79.78%
ღსს „საქართველოს ბანკის ჯგუფი“	19.78%	19.78%	19.78%
სხვა*	0.44%	0.44%	0.44%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

** საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები.*

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის ანგარიშგებისთვის. ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2019 წლის 21 მაისით დათარიღებული #6 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.

2021 წლის 16 აპრილს ბანკმა მოამზადა 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასსს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2019 წლის ანგარიშგებისთვის. ეს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bankofgeorgia.ge).

ბანკს აღრიცხვის წარმოება და მარეგულირებელი ორგანოებისთვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ლარში მოეთხოვება. ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, შემდეგი გამონაკლისებით:

- ფინანსური აქტივებისა და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, და საინვესტიციო უძრავი ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით; და
- გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივების შეფასება თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესით.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულების გარდა, და თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო ბანკის ბიზნესსაქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, მთავარი რისკები და გაურკვევლობა, რაც ახლავს ამ მიზნების მიღწევას, და საქმიანობის შედეგები. დირექტორთა საბჭომ საფუძვლიანად შეაფასა ბანკის ფინანსური პროგნოზები, რაც მოიცავს მთელ რიგ სცენარებს საანგარიშგებო თარიღიდან 12-თვიანი პერიოდისთვის, სტრესგამძლეობის ანალიზის ჩატარებით, უკიდურესად პესიმისტური სცენარის ჩართვით და სტრესგამძლეობის უკუტესტირებით, რაც მოიცავდა შეფერხების იმ დონის შეფასებას, რომელმაც შეიძლება ბანკის მარცხი განაპირობოს. შეფასებამ მოიცვა ბანკის პროგნოზირებულ შედეგებზე, ლიკვიდურობის, დაფინანსებისა და კაპიტალის პოზიციებზე COVID-19-ის პანდემიის გავლენის შესაძლო შედეგების ანალიზი. ამაზე დაყრდნობით დირექტორთა საბჭო ადასტურებს, რომ აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ბანკი ფლობს საკმარის რესურსს, რომ გააგრძელოს საოპერაციო საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ბანკის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ განჭვრეტად მომავალში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შვილობილი კომპანიები, მეკავშირე კომპანიები და კორპორაციული წილები 10%-ზე მეტი მონაწილეობით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოიცავს შემდეგ შვილობილ, მეკავშირე კომპანიებს და 10%-ზე მეტ კორპორაციულ წილებს:

შვილობილი კომპანიები	ხმის უფლების მქონე და წგეულებრივი აქციების წილი სს წესდებაში კაპიტალში			ინვესტიციები			რეგისტრაციის ქვეყანა	მისამართი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	სამართლებრივი ფორმა/სტატუსი
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი						
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობითი ოფისი გაერთიანებულ სამეფოში	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	გაერთიანებული სამეფო	ლონდონი, ბრუკ სტრიტი 84, W1K 5EH	ინფორმირება და საბაზრო კვლევა	17/8/2010	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ააიპ „ფონდი სიცოცხლის ხე“ (ყოფილი ააიპ „საქართველოს ბანკის მომავლის ფონდი“)	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	საქართველო	თბილისი, 0105,ალმაზინის ქ. 3	საქველმოქმედო საქმიანობა	25/8/2008	–	არაკომერციული ორგანიზაცია
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობითი ოფისი უნგრეთში (ა)	100.00%	100.00%	100.00%	6,886	6,282	5,194	უნგრეთი	1054ბუდაპეშტი, თავისუფლების მოედნის #7; საბანკო ცენტრი	წარმომადგენლობა	18/6/2012	–	წარმომადგენლობა
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობითი ოფისი თურქეთში	100.00%	100.00%	100.00%	-	-	-	თურქეთი	Süleyman Seba Caddesi No:48 A Blok Daire 82 Akareller Be şiktaş 34357 სტამბოლი	წარმომადგენლობა	25/12/2013	–	წარმომადგენლობა
შპს „საქართველოს ფინანსური ინვესტიცია“	100.00%	100.00%	100.00%	3,577	3,577	3,577	ისრაელი	7 Menahem Begin, Ramat Gan 52681,ისრაელი	ინფორმირება და საბაზრო კვლევა	9/2/2009	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“	(b)	(b)	100.00%	-	-	2,476	საქართველო	თბილისი, 0194,ბიცქვინთის ქ.29	განათლება	15/10/2013	–	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
"ბენდერლოკ ინვესტმენტ ლიმიტედი"	100.00%	100.00%	100.00%	58,745	58,745	58,745	კვიპროსი	არქ.მაკარიოს III 58,ირის თაუერი, მე-8 სართ., ოფისი 702; 1075ნიკოზია	ინვესტიციები	12/5/2009	13/10/2009	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
⇒ სს „ბელარუსის ეროვნული ბანკი“ (გ)	99.98%	99.98%	99.98%	110,744	105,231	102,655	ბელარუსი	ნეზავისიმოსტა ავენიუ 87ა, მინსკი, 220012	საბანკო საქმიანობა	16/4/1992	3/6/2008	სააქციო საზოგადოება
⇒ შპს „ბელარუსის ეროვნული ბანკის ლიზინგი“	99.90%	99.90%	99.90%	11	11	10	ბელარუსი	ნეზავისიმოსტა ავენიუ 87ა, მე-3 ოთახი, მინსკი, 220012	ლიზინგი	30/3/2006	3/6/2008	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“	100.00%	100.00%	100.00%	22,414	22,414	22,414	საქართველო	თბილისი, ვაზიანის ქ. 3-5	ლიზინგი	29/10/2001	31/12/2004	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
⇒ „პრაიმ ლიზინგი“	100.00%	100.00%	100.00%	2	2	2	საქართველო	თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ა.კ. წერეთლის გამზ. 114	ლიზინგი	27/1/2012	21/1/2015	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მეკავშირე საწარმოები	ხმის უფლების მქონე და წგეულებრივი აქციების წილი სს წესდებაში კაპიტალში			ინვესტიციები			რეგისტრაციის ქვეყანა	მისამართი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	სამართლებრივი ფორმა/სტატუსი
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი						
სს „კრედიტ ინფო“ (დ)	21.08%	21.08%	21.08%	13,099	12,949	12,371	საქართველო	საქართველო, თბილისი, თარხნიშვილის ქ. 2	ფინანსური შუამავლობა	14/2/2005	14/2/2005	სააქციო საზოგადოება

სხვა ინვესტიციები ფასიანი ქაღალდები, კორპორაციული აქციები	ხმის უფლების მქონე და წგეულებრივი აქციების წილი სს წესდებაში კაპიტალში			ინვესტიციები			რეგისტრაციის ქვეყანა	მისამართი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი	სამართლებრივი ფორმა/სტატუსი
	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი						
სს „გაერთიანებული კლირინგ ცენტრი“	16.67%	16.67%	16.67%	108	108	108	საქართველო	სულხან-საბა ქ. #5/1, თბილისი, საქართველო	ელექტრონული გადახდის	22/07/2008	15/09/2008	სააქციო საზოგადოება

(ა) ინვესტიცია სრულად იყო გაუფასურებული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
(ბ) 2019 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ გაყიდა თავისი ინვესტიცია „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში“.
(გ) წარმოდგენილი თანხა არის ჯამური ინვესტიცია, რომელიც პირდაპირ სს „საქართველოს ბანკმა“ და „Benderlock Investments Limited“-მა განახორციელეს 66,575 ლარისა და 44,169 ლარის ოდენობით, შესაბამისად.
(დ) სს „კრედიტინფოს“ თავდაპირველი ინვესტიცია შეადგენდა 95 ლარს, რომელიც გაიზარდა 9,720 ლარამდე ინვესტიციის სამართლიან ღირებულებად გადაფასების შედეგად, როდესაც კაპიტალის ინვესტიცია მეკავშირე საწარმო გახდა. ინვესტიციის მოგების თუ ზარალის წილის აღიარება ასევე მოხდა მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შვილობილ კომპანიებთან შერწყმა და გუდვილი

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება. საბაზისო აქტივების სანაცვლოდ წილების დათმობა, არსებითად, იმას ნიშნავს, რომ მშობელი კომპანიის თვალში თავისი ინვესტიცია იცვლება „პირდაპირი სააქციო წილიდან“ „გაცხადებულ შედეგებად და წმინდა აქტივებად“. შესაბამისად, ოფიციალური შერწყმის თარიღისთვის, გაერთიანებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები იქცევა მშობელი კომპანიის ამ აქტივების თვითღირებულებად. შეძენილი აქტივების (მათ შორის ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე საწარმოებში ან ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც ფლობს შერწყმაში მონაწილე შვილობილი კომპანია) და ნაკისრი ვალდებულებების აღიარება ხდება საბალანსო ღირებულებით გაერთიანებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ოფიციალური შერწყმის თარიღის მდგომარეობით. ეს მოიცავს შეძენის მომენტში სამართლიანი ღირებულების შეფასების შედეგად წარმოშობილ ყოველგვარ გუდვილს, არამატერიალურ აქტივებს ან კორექტირებებს, რომლებიც აღიარებული იყო შვილობილი კომპანიის თავდაპირველი შეძენისას, გამოკლებული შემდგომი ამორტიზაცია, ცვეთა, გაუფასურების ზარალი (კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე).

პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

გუდვილის გაუფასურების შეფასება ხდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად თუ მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება გაუფასურებული იყოს.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, საწარმოთა გაერთიანებისას დარიცხული გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება ბანკის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ასეთ ერთეულთა ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ საწარმოთა გაერთიანების შედეგად მიღებული სინერგიიდან სარგებელს მიიღებენ, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ერთეულებს ან ერთეულთა ჯგუფებს ბანკის სხვა აქტივები განეკუთვნება, თუ ვალდებულებები. ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეული ან ერთეულთა ჯგუფი, რომლებზეც გუდვილია გადანაწილებული:

- წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს შიდა მართვის მიზნებისთვის; და
- არ აღემატება ფასს 8-ის „საოპერაციო სეგმენტები“ შესაბამისად განმარტებული სეგმენტის სიდიდეს.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტებთან ოპერაციებით შეძენილი კომპანიების ჩათვლით, ფასდება გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შემცირებული შესყიდვის ღირებულებით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებშიც ბანკი ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები იანგარიშება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად აისახება თვითღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ბანკის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს. მეკავშირე საწარმოების მოგება-ზარალში ბანკის წილი აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, ხოლო რეზერვებში მისი გადაადგილების წილი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, როდესაც ბანკის ზარალის წილი მეკავშირე საწარმოში უტოლდება ან აღემატება მის წილს მეკავშირე საწარმოში, ბანკი არ ასახავს შემდგომ დანაკარგებს, თუ ის ვალდებული არ არის შემდგომი გადახდების განხორციელებაზე მეკავშირე საწარმოში ან მისი სახელით.

არარეალიზებული შემოსულობა ბანკსა და მის მეკავშირე საწარმოებს შორის ტრანსაქციებზე იქვითება მეკავშირე საწარმოთა კაპიტალში ბანკის წილის მოცულობით. არარეალიზებული ზარალიც იქვითება, თუ ტრანსაქცია არ ამტკიცებს გადაცემული აქტივის გაუფასურებას. როდესაც კაპიტალის ინვესტიცია ხდება მეკავშირე კომპანია, ინვესტიცია გადაფასდება სამართლიან ღირებულებამდე და მანამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული ყველა შემოსულობა ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება

ბანკი ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, მომხმარებლებზე გაცემული გარკვეული სესხები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო უძრავი ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. გარდა ამისა, ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ბანკი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – მსგავსი აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

ბანკი განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ბანკი ყველა თავისი ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას ახდენს ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელისა და სახელშეკრულებო პირობების მიხედვით და აფასებს შემდეგიდან ერთ-ერთით:

- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავალო ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებაში ან ზარალში გადატანით;
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებაში ან ზარალში გადატანის გარეშე; და

ამორტიზებული ღირებულება.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ისინი ვაჭრობისთვის არის განკუთვნილი.

ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები არ არის გამოყოფილი შესაბამისი ფინანსური აქტივისგან. ამის ნაცვლად, ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება ბიზნესმოდელისა და მათი სახელშეკრულებო პირობების მიხედვით.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე. ი. 1 დონის ამოსავალი მონაცემი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც შემოსულობას ან ზარალს.
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკი ამ გადავადებულ სხვაობას შემოსულობად ან ზარალად აღიარებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას წარმოშობს ისეთი ფაქტორის (დროის ჩათვლით) ცვლილება, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ამ აქტივის თუ ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება

- *ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები*

ბანკი ამორტიზებული ღირებულებით აფასებს მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსური აქტივებს თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტვივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

ამ პირობების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია ქვემოთ.

<u>ბიზნესმოდელი</u>

ბანკი თავის ბიზნესმოდელს იმ დონეზე განსაზღვრავს, რომ საუკეთესოდ ასახავს იმას, თუ როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფებს თავისი ბიზნესამოცანების მისაღწევად. ბიზნესმოდელი თითოეული ინსტრუმენტისთვის კი არ ფასდება, არამედ უფრო მაღალ, ინსტრუმენტის თითოეული ტიპის აგრეგირებული პორტფელების, დონეზე და ეყრდნობა შემდეგ დაკვირვებად (ემპირიულ) ფაქტორებს:

- როგორ ფასდება ბიზნესმოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნესმოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს); და
- როგორ ხდება კონკრეტული ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და წარდგენა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის.

ფასს 9-ის მიხედვით სამი ბიზნესმოდელი არსებობს:

- ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად: მისი მიზანია აქტივის ფლობა ვადის ამოწურვამდე საპროცენტო შემოსავლის, კონტრაჰენტისგან ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდების მისაღებად.
- ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად: ეს მოდელი ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის მოდელის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ საწარმომ შეიძლება გადაწყვიტოს თავისი ყველა ან ზოგიერთი აქტივის გაყიდვა მათი ვადის ამოწურვამდე, გარემოებების ცვლილების გამო, ან აქტივის ფლობა ლიკვიდურობის მიზნით.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ აკმაყოფილებს „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობის“ და „ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობის“ კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

- *ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)*

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდები (SPPI)

თუ ფინანსური აქტივი ფლობილია ან „ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად“ ბიზნესმოდელის, ან „ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად“ ბიზნესმოდელის ფარგლებში, მაშინ კლასიფიკაციის განსაზღვრისთვის თავდაპირველი აღიარებისას ბანკი აფასებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს თუ არა. SPPI ტესტირება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე ხდება.

სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდებს, შეესაბამება მთავარ საკრედიტო შეთანხმებებს. პროცენტი არის ფულის დროითი ღირებულებისა და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითად თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის კომპენსაცია. იგი ასევე შეიძლება მოიცავდეს დაკრედიტებასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების (მაგ. ლიკვიდურობის რისკი) და დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებული დანახარჯების (მაგ. ადმინისტრაციული დანახარჯები) ანაზღაურებას, და ასევე ძირითად საკრედიტო შეთანხმებით გათვალისწინებულ მოგების მარჟას.

იმის შესაფასებლად, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებია (SPPI) თუ არა, ბანკი განიხილავს, ხომ არ შეიცავს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები ისეთი პირობას, რომელმაც შეიძლება შეცვალოს ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში წარმოშობილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოძრაობის დრო ან სიდიდე, რამაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს იმაზე, ჩაითვლება თუ არა, რომ ინსტრუმენტმა გაიარა SPPI ტესტირება.

თუ ფინანსური აქტივები SPPI ტესტირებას ვერ გაივლის, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით და მოგებაში ან ზარალში ასახვით, ხოლო მიღებული პროცენტის აღიარება ხდება სხვა საპროცენტო შემოსავალში.

- *სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით*

ბანკი სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსუი აქტივების გაყიდვით და ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის.
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს.

სავალო საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სამართლიან ღირებულებაში შესული ცვლილებების შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება სხვა სრულ შემოსავალში. საპროცენტო შემოსავალი და საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში იმავე წესით, როგორითაც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. აღიარების შეწყვეტისას სხვა სრულ შემოსავალში ასახული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი სხვა სრული შემოსავლიდან რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება (გაგრძელება)

- *წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ოფციონი*

თავდაპირველი აღიარებისას ბანკმა შეიძლება არჩიოს თავისი წილობრივი ინსტრუმენტების შეუქცევადად კლასიფიცირება წილობრივ ინსტრუმენტებად, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ისინი აკმაყოფილებს ბასს 32-ით *„ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა“* მიხედვით „კაპიტალის“ განმარტებას და მათი ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა. თითოეული ინსტრუმენტისთვის კლასიფიკაცია ცალკე ხდება.

ასეთ წილობრივ ინსტრუმენტებზე მიღებული შემოსულობა და ზარალი მოგებაში ან ზარალში არასოდეს გადაიტანება. დივიდენდების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, არ ექვემდებარება გაუფასურების შემოწმებას.

- *ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

ისეთი ბიზნესმოდელით მართული ფინანსური აქტივების ჯგუფები, რომლის მიზანი არც „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობაა“ და არც „ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობა და გაყიდვა“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

- *წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

ბანკი სხვადასხვა კონტრაჰენტთან აქვს გარიგებები წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს მოიცავს საპროცენტო განაკვეთის სვოპებს, ფორვარდებს და სხვა მსგავს ინსტრუმენტებს. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და აისახება აქტივებად, თუ მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, თუ მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში წმინდა ცვლილებები აისახება ფინანსური ინსტრუმენტებიდან მიღებულ წმინდა შემოსულობაში / ზარალში, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით, გარდა უცხოური ვალუტის წარმოებულებიდან მიღებული შემოსულობისა / ზარალისა, რომლებიც წარმოდგენილია წმინდა უცხოური ვალუტის შემოსულობაში. 2019 წლის დასაწყისიდან ბანკი აფორმებს გარკვეულ სავალუტო სვოპის შეთანხმებებს, რათა თავისი დაფინანსების დანახარჯები გარკვეულ ვალუტებში შეუსაბამოს ამავე ვალუტებში საკრედიტო საქმიანობიდან წარმოქმნილ შემოსავალს. ამის შედეგად, ბანკი ახდენს საპროცენტო გადაკვეთის რისკის ეკონომიკურ ჰეჯირებას, თუმცა ფასს 9-ის მიხედვით ჰეჯირების აღრიცხვა არ გამოიყენება. წმინდა ცვლილებები ისეთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებში, რომლებიც წარმოდგენილია წმინდა სავალუტო შემოსულობაში, არ მოიცავს დაფიქსირებული სავალუტო განაკვეთის სხვაობების (დიფერენციალის) შემობრუნებას. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია საპროცენტო ხარჯის ნაწილში, რათა ასახოს ბანკის რისკის მართვის ამოცანა.

- *ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სხვა ფინანსური ვალდებულებები*

ფინანსური გარანტიები, აკრედიტივები და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსურ ანგარიშგებებში სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიღებულ პრემიას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბანკის ვალდებულება თითოეული გარანტიის მიხედვით ფასდება ან თავდაპირველად აღიარებული თანხით, რომელსაც აკლდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული კუმულაციური ამორტიზაცია, ან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით, იმისდა მიხედვით, თუ რომელი უფრო მეტია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ცენტრალური ბანკების მიმართ მოთხოვნებს, გარდა მათში განთავსებული სავალდებულო რეზერვებისა, მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომლებსაც აქვს წარმოქმნიდან 90-დღიანი ვადა, კონტრაქტის მიხედვით უფლებრივად არ იტვირთება და თავისუფლად არის კონვერტირებადი ფულის გარკვეულ ოდენობებად.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მომხმარებლების წინაშე (მარტივი თამასუქების ჩათვლით). აღნიშნული თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის რეალური ღირებულებით, რასაც აკლდება შესაბამის ოპერაციასთან პირდაპირ დაკავშირებული თანხები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

დამატებით გამოშვებული პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები უვადო ანუიტეტით და პროცენტის ნებაყოფლობითი გადახდის პირობით, კლასიფიცირდება ფინანსურ ვალდებულებებად მაშინ, როდესაც ინსტრუმენტები არ არის კონვერტირებადი საკუთარ კაპიტალად და ბანკს არ აქვს უპირობო უფლება, თავიდან აიცილოს ფულადი სახსრების მიწოდება წინასწარ განსაზღვრული გამომწვევი მოვლენის შემთხვევაში. ასეთი ინსტრუმენტები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ხოლო შესაბამისი პროცენტი აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშგების საპროცენტო ხარჯის მუხლში.

თუ ბანკი შეისყიდის საკუთარ სესხს, მას ამოიღებენ ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებიდან, ხოლო სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საფასურს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი წარმოადგენს ბანკის მიერ საერთაშორისო ან ადგილობრივი საფინანსო ბაზრებიდან მოზიდულ გრძელვადიან ფულად სახსრებს. ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული ვალის მფლობელებს სხვა კრედიტორებთან შედარებით ექნებათ სესხის დაფარვის უფრო დაბალი პრიორიტეტი. სუბორდინირებული ვალი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა)

ბანკი, როგორც მოიჯარე

ხელშეკრულების გაფორმების დროს ბანკი აფასებს, ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება წარმოადგენს ან შეიცავს იჯარას, თუ იგი გულისხმობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონკრეტული აქტივის გაკონტროლების ან გამოყენების უფლებას ანაზღაურების სანაცვლოდ. ბანკი იჯარის დაწყების თარიღად მიიჩნევს იმ დღეს, როდესაც მეიჯარე საბაზისო აქტივს გამოყენებისთვის გადასცემს ბანკს. თუ საიჯარო ხელშეკრულება იჯარის რამდენიმე კომპონენტს შეიცავს, ბანკი ხელშეკრულებაში ანაზღაურებას შეუსაბამებს იჯარის თითოეულ კომპონენტს ფარდობითი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე და მათ ცალ-ცალკე აღრიცხავს.

ბანკის ძირითადი საიჯარო საქმიანობა მოიცავს მომსახურების ცენტრებისა და ბანკომანტების სივრცეების იჯარას. შეუქცევად იჯარას ათ წლამდე ვადა აქვს. საიჯარო გადასახდელები, უმეტეს შემთხვევაში, ფიქსირებულია. ხელშეკრულებებში, როგორც წესი, არ არის შესული იჯარის ვადის გაგრძელების ან შეწყვეტის პირობა და არ შეიცავს დათქმებს.

- *აქტივის გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულების აღიარება*

ბანკი იჯარის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს იჯარის ამოქმედების თარიღით ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდებით დაკორექტირებული საიჯარო ვალდებულების საწყის ოდენობას. ამას ემატება გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები და საბაზისო აქტივის დემონტაჟსა და ობიექტიდან გატანასთან, ან სავარაუდო დემონტაჟის ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით. ბანკი აქტივის გამოყენების უფლებაზე იყენებს თვითღირებულების მოდელს, იმ აქტივების გარდა, რომლებიც აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გადაფასების მოდელი.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება მომავალი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, გარდა დღგ-ის გადახდებისა, და მისი დისკონტირება ხდება ბანკის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით. საიჯარო ვალდებულება შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- *აღიარებიდან გამონაკლისები*

ბანკი იყენებს აღიარების გამონაკლისებს იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. ბანკი ამ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადასახდელებს აღიარებს, როგორც ხარჯს და იჯარის ვადას წრფივი მეთოდით არიცხავს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ამოქმედებული პოლიტიკა) (გაგრძელება)

- *საიჯარო ხელშეკრულებების მოდიფიკაცია*

თუ საიჯარო ხელშეკრულების მოდიფიკაცია ხდება იჯარის გამოყენების სფეროს ან იჯარის ღირებულების შეცვლით, რომელიც იჯარის თავდაპირველი პირობების ნაწილი არ ყოფილა, ბანკი განსაზღვრავს, მოდიფიკაციის შედეგად წარმოიქმნება თუ არა:

- განცალკევებული იჯარა; ან
- ცვლილება არსებული იჯარის აღრიცხვის წესში.

ბანკი იჯარის მოდიფიკაციას ასახავს, როგორც განცალკევებულ იჯარას, თუ არსებობს ორივე შემდეგი პირობა:

- მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო იმის გამო, რომ იჯარას ემატება ერთი ან რამდენიმე საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება; და
- იჯარის ანაზღაურება იზრდება ისეთი ოდენობით, რომელიც თანაზომადია იჯარის გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი განცალკევებული ხელშეკრულების ფასისა დაასევე კონკრეტული ხელშეკრულების გარემოებების ამსახველი, ამ განცალკევებული ფასის ნებისმიერი შესაბამისი კორექტირების გათვალისწინებით.

იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, ბანკი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას შემდეგნაირად:

- ამცირებს აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებას იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო. ბანკი მოგებაში ან ზარალში აღიარებს ნებისმიერ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიან შეწყვეტასთან; ან
- შესაბამისად, აკორექტირებს აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ბანკი, როგორც მეიჯარე

იჯარის დასაწყისში ბანკი თავის თითოეულ იჯარას ან საოპერაციო იჯარის, ან ფინანსური იჯარის კლასიფიკაციას ანიჭებს.

- *ფინანსური იჯარა*

იჯარა, რომელიც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს მოიჯარეს გადასცემს, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება. ყველა დანარჩენი იჯარა საოპერაციო იჯარაა. ბანკი ფინანსურ იჯარაზე დავალიანებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში იჯარაში განხორციელებული წმინდა ინვესტიციის თანხის ოდენობით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან. მინიმალური საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას დისკონტირების ფაქტორად გამოიყენება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები შედის ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების პირველად შეფასებაში. მიღებული საიჯარო გადასახდელები გადანაწილდება ფინანსურ იჯარასა და დაუფარავი საიჯარო გადასახდელების შემცირებას შორის. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მუდმივი პერიოდული უკუგების კოეფიციენტი მიმდინარე წმინდა ინვესტიციაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (2019 წლის 1 იანვრიდან მოქმედი პოლიტიკა) (გაგრძელება)

- *საოპერაციო იჯარა*

ბანკი საოპერაციო იჯარის აქტივებს წარმოადგენს ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების ხასიათის მიხედვით. საოპერაციო იჯარიდან საიჯარო შემოსავლის აღიარება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში, როგორც წმინდა სხვა შემოსავლისა. საოპერაციო იჯარიდან შემოსავლების მიღების თავდაპირველი პირდაპირი ხარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება. იჯარის აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც 2019 წლის 1 იანვრამდე იყო ძალაში, წარმოდგენილია წინა წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პრინციპების მიმოხილვა

ბანკი ყველა სესხსა და სხვა სავალო ფინანსურ აქტივებზე (რომლებიც არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღრიცხავს სასესხო ვალდებულებებთან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებთან ერთად. ამ თავში ყველა მოიხსენიება „ფინანსურ აქტივებად“. ფასს (IFRS) 9-ის მიხედვით, წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას.

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას.

ბანკი გამარტივებულ მიდგომას იყენებს სავაჭრო, საიჯარო და სხვა დებიტორული დავალიანებისა და სახელშეკრულებო აქტივებისთვის და აღრიცხავს მათი არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, ბანკი ჯერ ინდივიდუალურად აფასებს, არსებობს თუ არა ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდეგ ის კოლექტიურად აფასებს სესხებს, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი და სესხებს, რომლებიც არის მნიშვნელოვანი, მაგრამ რომელთა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ინდივიდუალური შეფასების მიხედვით, არ არსებობს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისადმი სტადიების მიხედვით მიდგომა

ბანკმა დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, ბანკი თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს აჯგუფებს შემდეგნაირად: პირველი სტადია, მეორე სტადია, მესამე სტადია და „შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული“, ქვემოთ აღწერილი წესით:

- 1-ლი სტადია: ბანკი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს იმ ოდენობით, რომ გაუტოლდეს 12-თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. ეს ზარალი არის აქტივის არსებობის განმავლობაში დეფოლტის შემთხვევების გამო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში იმ დაშვებით, რომ საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი. 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი ვადის მქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში გამოიყენება დეფოლტის ალბათობა, რომელიც შეესაბამება დარჩენილ ვადას.
- მე-2 სტადია: იმ ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომელთა საკრედიტო რისკი ამ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებიდან მნიშვნელოვნად გაზრდილად ითვლება, ბანკი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით. ამისათვის საჭიროა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა აქტივის მთელი არსებობის განმავლობაში დეფოლტის ალბათობაზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში დეფოლტის დადგომის ალბათობას. საკრედიტო ზარალის რეზერვი ამ სტადიაზე უფრო მაღალია საკრედიტო რისკის ზრდის გამო და აგრეთვე იმიტომ, რომ უფრო გრძელვადიანი პერიოდია გასათვალისწინებელი პირველი სტადიის 12-თვიან პერიოდთან შედარებით. ფინანსური ინსტრუმენტები მეორე სტადიაზე ჯერ არ ითვლება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად.
- მე-3 სტადია: თუ ფინანსური ინსტრუმენტები საკრედიტო რისკით უფასურდება, ისინი გადაინაცვლებს მესამე სტადიაზე. ბანკი ზარალის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით, რაც ასახავს ამ საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების დეფოლტის 100%-იან ალბათობას.

ფასს 9-ის გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტები ზემოთ წარმოდგენილი სამი სტადიიდან ერთ-ერთში კლასიფიცირდება. შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული თუ არ არის, ახლად წარმოქმნილი აქტივები კლასიფიცირდება პირველ სტადიად და ამ სტადიაზე რჩება მანამ, სანამ ჩაითვლება, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც აქტივი გადადის მე-2 სტადიაზე.

შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ფინანსური აქტივის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ან შემცირება ხდება მხოლოდ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილების შესაბამისად, თუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება აქტივის მთელი არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით. შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ აქტივად აღიარებული აქტივი ამ სტატუსს ჩამოწერამდე შეინარჩუნებს.

ფასს 9-ასთან დაკავშირებით გამოყენებული ძირითადი შეფასებები და ვარაუდები წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ბანკმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, ბანკის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. მონაწილეობის გაგრძელება, რომელიც იძენს გარანტიის ფორმას გადაცემულ აქტივზე, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ ანაზღაურების მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შეიძლება ბანკს მოეთხოვოს.

როდესაც გადაცემულ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნება იღებს გაყიდული და/ან შესყიდული ოფციონის ფორმას (ფულით განსაზღვრული ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), ბანკის მონაწილეობა მოიცავს გადაცემული აქტივის თანხას, რომელიც ბანკს შეუძლია განმეორებით შეიძინოს, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ აქტივზე შემენილი ფუთ-ოფციონისა (ფულით განსაზღვრული ოფციონის ან მსგავსი ანარიცხის ჩათვლით), როდესაც ბანკის ხანგრძლივი ჩართულობის ფარგლები იზღუდება გადაცემული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის რეალიზაციის ფასს შორის უმცირესით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია

ბანკი ზოგჯერ ახდენს ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების რესტრუქტურიზაციას ან სხვაგვარ მოდიფიკაციას. ასეთ დროს ბანკი რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერიუმების საფუძველზე აფასებს, ახალი პირობები არის თუ არა არსებითად განსხვავებული თავდაპირველი პირობებისგან. ბანკი ფინანსური აქტივის, მაგალითად, მომხმარებელზე გაცემული სესხის, აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც რესტრუქტურიზაციის შედეგად პირობები იმდენად შეიცვალა, რომ საქმე არსებითად ახალ სესხთან გვაქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების პირობების რესტრუქტურიზაცია განპირობებულია მსესხებლის ფინანსური სიძნელეებით. როდესაც ხდება ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა, სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის სახით, თუკი გაუფასურების ზარალი უკვე არ არის აღრიცხული. ახლად აღიარებული სესხები კლასიფიცირდება პირველი სტადიის სახით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნით, სანამ ახალი სესხი არ ჩაითვლება შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა და მოდიფიკაცია (გაგრძელება)

ბანკი შემდეგ ფაქტორებს ითვალისწინებს იმის გადასაწყვეტად, ჩამოწეროს (შეწყვიტოს აღიარება) თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი:

- სესხის ვალუტის ცვლილება;
- საპროცენტო განაკვეთის ტიპის ცვლილება;
- წილობრივი მახასიათებლის შემოტანა;
- კონტრაჰენტის ცვლილება;
- თუ მოდიფიკაცია იმგვარია, რომ ინსტრუმენტი აღარ დააკმაყოფილებდა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების კრიტერიუმს.

თუ პირობები არსებითად განსხვავებული არ არის, ან რესტრუქტურიზაცია განპირობებულია მსესხებლის ფინანსური სიძნელეებით, ამ შემთხვევაში, რესტრუქტურიზაცია ან მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას და ბანკი გადაიანგარიშებს მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას ფინანსური აქტივის გადაფასებული ფულადი ნაკადების საფუძველზე და მოდიფიცირებით განპირობებულ შემოსულობას ან ზარალს საპროცენტო შემოსავალში აღიარებს. ახალი მთლიანი (ბრუტო) საბალანსო ღირებულება გამოითვლება მოდიფიცირებული ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება და სესხების მოდიფიკაცია

ზოგჯერ ბანკი დათმობაზე მიდის ან, როდესაც მსესხებელს ფინანსური სიძნელეები აქვს, ცვლის სესხის თავდაპირველ პირობებს, ნაცვლად იმისა, რომ დაისაკუთროს ან იძულებითი ღონისძიების გზით მიიღოს უზრუნველყოფის საგანი. ბანკი იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავს იკავებს მაშინ, როდესაც მიდის ასეთ დათმობებსა და მოდიფიკაციებზე მსესხებლის არსებული ან მოსალოდნელი ფინანსური სიძნელეების პასუხად და, მსესხებელი ფინანსურად გამართული რომ ყოფილიყო, ბანკი ამ პირობებს არ დათანხმდებოდა. იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება შესაძლოა მოიცავდეს სესხის დაფარვის გადავადებას და სესხის ახალ პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც გაანგარიშებულია პირობების მოდიფიკაციამდე. აქტივები, რომლებზეც ხდება იძულების ღონისძიების გამოყენებისგან თავის შეკავება, მიეკუთვნება მესამე სტადიას. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს დარჩენს აქტივი ამ კატეგორიაში, მიიღება ინდივიდუალურად კომერციული და მცირე და საშუალო ზომის სესხების შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი სესხების შემთხვევაში, მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული გადახდაა საჭირო იმისთვის, რომ სესხი ამ კატეგორიიდან მეორე სტადიაზე გადავიდეს. სესხის მეორე სტადიაზე გადასვლის შემდეგ ბანკი ხელახლა აფასებს, ხომ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა, პირველ სტადიაზე გადატანამდე ასეთი აქტივები მეორე სტადიაზე რჩება მინიმუმ 12-თვიანი საცდელი ვადით. ზემოაღნიშნულ წესებზე გავრცელდა გარკვეული მოდელირებული შედეგის ზრდა COVID-19-ის გამო 2020 წელს სასესხო ხელშეკრულებების მასობრივი რესტრუქტურიზაციის შედეგად. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 შენიშვნა.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

გასაყიდად არსებული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები

გრძელვადიან აქტივებსა და გასასხვისებელი აქტივების ჯგუფს გასაყიდად არსებულის კატეგორიას ბანკი იმ შემთხვევაში მიაკუთვნებს, თუ მათი საბალანსო ღირებულების ამოღება ძირითადად გაყიდვის ოპერაციიდან და არა მათი უწყვეტი გამოყენებით მოხდება. გასაყიდად განკუთვნილი გრძელვადიანი აქტივები და გასასხვისებელი აქტივების ჯგუფები ფასდება საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული რეალიზაციაზე დანახარჯები) შორის უმცირესით. გაყიდვის დანახარჯები არის ნაზარდი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი აქტივის (გასასხვისებელი აქტივების ჯგუფის) გასხვისებისთვის, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯებისა და მოგების გადასახადის ხარჯის გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირების კრიტერიუმი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ გაყიდვის მაღალი ალბათობა არსებობს და აქტივი ან გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი არსებულ მდგომარეობაში ხელმისაწვდომია დაუყოვნებლივ გასაყიდად. გაყიდვის გარიგების შესასრულებლად საჭირო ნაბიჯები იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ არ არის მოსალოდნელი გაყიდვაში ცვლილებების შესვლა ან გაყიდვის გადაწყვეტილების შეცვლა. ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს აქტივის გაყიდვა და აქტივი უნდა გაიყიდოს კლასიფიკაციიდან ერთი წლის განმავლობაში.

გასაყიდად გამიზნული აქტივის თავდაპირველ კლასიფიკაციამდე ამ აქტივის საბალანსო ღირებულება ფასდება მოქმედი ფასს-ების შესაბამისად.

გასაყიდად არსებულის კატეგორიაში შესული ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების ცვეთა ან ამორტიზაცია არ ხდება. გასაყიდად გამიზნულის კატეგორიაში შესული აქტივები და ვალდებულებები სხვა აქტივებისა და ვალდებულებებისგან ცალკეა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გასასხვისებელი აქტივების ჯგუფი ითვლება შეწყვეტილ ოპერაციად მაშინ, თუ ის არის სამეურნეო სუბიექტის კომპონენტი, რომელიც ან გასხვისებულია, ან კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად არსებული, და:

- წარმოადგენს საქმიანობის ცალკე აღებულ ძირითად მიმართულებას ან საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს;
- არის საქმიანობის ცალკე აღებული ძირითადი მიმართულების ან გეოგრაფიული არეალის საქმიანობის გასხვისების ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- არის შვილობილი კომპანია, რომელიც შეძენილია მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები არ აისახება უწყვეტი საქმიანობის შედეგებში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც შეწყვეტილი ოპერაციებიდან წმინდა მოგების ან ზარალის ერთიანი თანხა. შეწყვეტილი ოპერაციების საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებისთვის მიკუთვნებადი წმინდა ფულადი ნაკადები ცალკეა წარმოდგენილი ფულადი ნაკადების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან არსებითად ამოქმედებული იყო ანგარიშგების დღეს.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს ბანკის საქმიანობაზე. ეს გადასახადები ასახულია სხვა საოპერაციო ხარჯების კომპონენტებად.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა ან შენობის ნაწილი, რომელიც გამიზნულია საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების ზრდისთვის და რომელსაც ბანკი არ იყენებს.

საინვესტიციო ქონების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, ტრანსაქციის ხარჯების ჩათვლით და შემდეგ ხელმეორედ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს საბაზრო პირობებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროს საფუძველზე, მათ შორის დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომლებსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. რაც შეეხება გარკვეულ საინვესტიციო ქონებას, რომლის გამოსყიდვის ოფციონი გადაცემულია წინა მფლობელებისთვის, ასეთი ქონების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის განისაზღვრა გამოსყიდვის ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეცვლით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი, ასევე იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის მუხლში.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავებს მესაკუთრე, მაშინ ხდება მისი რეკლასიფიცირება ძირითად საშუალებებად და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიცირების თარიღისთვის ხდება მისი დასაშვები ღირებულება, რომელიც შემდგომში ცვეთას ექვემდებარება. იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება აკმაყოფილებს გასაყიდად გამიზნული აქტივის კრიტერიუმებს, მისი გადატანა ხდება გასაყიდად გამიზნული აქტივების კატეგორიაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად არის და ხელმისაწვდომია. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები და სერვისცენტრები	100-მდე
ავეჯი და მოწყობილობები	3-20
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	2-7

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და მეთოდები გადაისინჯება და დაკორექტირდება შესაბამისად.

დაუმთავრებელი მშენებლობები თვითღირებულებით აღირიცხება და ცვეთა არ ერიცხება მანამ, სანამ არ გახდება ექსპლუატაციისთვის ვარგისი და მოხდება მათი კლასიფიცირება ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფში.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, რომელიც უფრო ხანმოკლეა.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

ბანკის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები ითვლება სასრულად, ამორტიზდება ოთხიდან 15 წლამდე ვადაზე და გაუფასურების დასადგენად მოწმდება მაშინ, როდესაც არსებობს არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება, სულ მცირე, ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები აქტივის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. კვლევასა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

ბანკის თანამშრომლები (უმაღლესი რგოლის აღმასრულებელი პირების ჩათვლით) იღებენ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რომლის მიხედვითაც ისინი ბანკისგან გაწეული მომსახურების სანაცვლოდ ანაზღაურების სახით წილობრივ ინსტრუმენტებს იღებენ („წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებები“).

ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი ასახავს უფლების გადაცემის პერიოდის გასვლას და ბანკის შეფასებით წილობრივი ინსტრუმენტების იმ რაოდენობას, რა რაოდენობაზეც საბოლოოდ გადაიცემა უფლება. მოგება-ზარალის ინდივიდუალური ანგარიშის ხარჯი ან დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული კუმულაციური ხარჯების მოძრაობას.

ხარჯის აღიარება არ ხდება იმ გაცემული წილობრივი ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებზეც საბოლოოდ არ გადაიცემა უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წილობრივი ინსტრუმენტის გადაცემისას უფლების გადაცემა პირობითია და დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე და ითვლება უფლების გადაცემად იმისდა მიუხედავად, დაკმაყოფილდა თუ არა საბაზრო პირობა, თუმცა ყველა დანარჩენი სახელშეკრულებო პირობა დაკმაყოფილებული უნდა იყოს.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების პირობები შეიცვლება, ხდება მინიმალური ხარჯის აღიარება ისე, თითქოს პირობები არ შეცვლილა. დამატებითი ხარჯის აღიარება მოხდება ნებისმიერი ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც ცვლილების დღეს ჩატარებული შეფასებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის სისტემის მთლიან სამართლიან ღირებულებას ზრდის ან სხვაგვარად არის სარგებლის მომტანი თანამშრომლისთვის.

თუ წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ახალი გადახდა განისაზღვრება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გაუქმებული გადახდის ჩანაცვლება, წილობრივი ინსტრუმენტების ჩანაცვლება აღირიცხება მოდიფიკაციის სახით.

თუ აქციების გადაცემა, წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, გაუქმდება, ეს აღირიცხება ისე, თითქოს უფლების გადაცემა მოხდა გაუქმების დღეს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ჯერ არ არის აღიარებული, დაუყოვნებლივ აღიარდება. თუმცა თუ ახალი აქციების გადაცემა ჩაანაცვლებს გაუქმებულს და გადაცემის დღეს აღირიცხება, როგორც ჩანაცვლებული გადაცემა, გაუქმებული და ახალი გადაცემა აისახება ისე, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ თავდაპირველი გადაცემის მოდიფიკაციას, წინა აბზაცში აღწერილის შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

გამოსყიდული აქციები

როდესაც ბანკი იძენს ბანკის აქციებს, გადახდილი საფასური და ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები (მოგების გადასახადის გამოკლებით) გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. შემდგომში ასეთი აქციების გაყიდვის ან ხელახლა გამოშვების შემთხვევაში ხდება მიღებული საფასურის ჩართვა საკუთარ კაპიტალში. გამოსყიდული აქციები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით და დაკორექტირდება პრემიებით დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ემატება დივიდენდის თანხას და პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხება.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და პროცენტიანი ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ ბანკი გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

პირველ და მეორე სტადიებზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ბანკი საპროცენტო შემოსავალს გამოითვლის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მთლიან საბალანსო ღირებულებაზე. მესამე სტადიაზე მყოფი ფინანსური აქტივების საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამორტიზებულ ღირებულებაზე (ანუ მთლიან საბალანსო ღირებულებას გამოკლებული საკრედიტო ზარალის რეზერვი). ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც მხოლოდ შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ ინსტრუმენტებად, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ამ შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებაზე. ბანკი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილ საპროცენტო შემოსავალს ცალკე წარმოადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიო მოსაკრებლიდან მომხმარებლებისთვის გაწეული სხვადასხვა სახის მომსახურების სანაცვლოდ. გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი აღირიცხება მაშინ, როდესაც ბანკი აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. შემოსავალი გასამრჯელოდან შესაძლოა დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო

გარკვეულ პერიოდში გაწეული მომსახურებისთვის მიღებული გასამრჯელო დაირიცხება იმავე პერიოდში. აღნიშნული გასამრჯელო მოიცავს შემოსავალს საკომისიო მოსაკრებლიდან და გასამრჯელოებს აქტივების მართვიდან, მეურვეობიდან, მომსახურებების ან პროდუქტების პაკეტებიდან, ასევე სხვა მართვის თუ საკონსულტაციო მომსახურებიდან. სასესხო ვალდებულებები, რომლებიც სავარაუდოდ ჩამოიწერება და სხვა საკრედიტო თანხები გადავადებულია (ყველა ზღვრულ ხარჯთან ერთად) და აღიარებულია, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

მომხმარებელთა წახალისების პროგრამა

ბიზნესში მომხმარებელთა წახალისების პროგრამის დაგროვილი ქულები აღირიცხება როგორც გადავადებული შემოსავალი და მისი აღიარება თანდათანობით, მათი მიღებისთანავე ხდება შემოსავლებში. ბანკი მომხმარებელთა წახალისების პროგრამიდან მიღებულ საერთო შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც შესრულდება სახელშეკრულებო ვალდებულება ანუ როდესაც მომხმარებელი გამოისყიდის ქულებს ან ქულებს ვადა გაუვა. აქ ბანკი მოქმედებს როგორც პრინციპალი. ბანკი თავის შემოსავალს აფასებს როგორც თავის ანგარიშზე შენარჩუნებულ წმინდა თანხას, რომელიც წარმოადგენს სხვაობას სასაჩუქრე ქულებზე მიკუთვნებულ ანაზღაურებასა და სასაჩუქრე ქულების გაცემისთანავე საჩუქრების მოწოდებისთვის მესამე მხარისათვის გადასახდელ თანხას შორის. ამ შემთხვევაში ბანკი მოქმედებს როგორც აგენტი). ბანკი ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს დაგროვილი ქულების იმ ნაწილს, რომლის გამოყენებაც სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოსალოდნელია მომხმარებლების მიერ. ეს ქულები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღირიცხება ვალდებულებად და მათი აღიარება შემოსავალში ხდება ამ ქულების მიღების ან ვადის ამოწურვისთანავე.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება დროის გარკვეულ მომენტში ხდება

ისეთი ტრანსაქციის ტიპის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული საკომისიო შემოსავალი, როგორიცაა ანგარიშსწორება, საბროკერო საქმიანობა, ნაღდი ფულის და ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები, აღირიცხება მაშინ, როდესაც დასრულდება მომსახურების გაწევა იმ პირობით, რომ ასეთი საკომისიო არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა პირობით ვალდებულებას, რომელიც ბანკის კონტროლს არ ექვემდებარება. ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს დამატებით საკომისიოს (გარდა უცხოურ ვალუტაში შესრულებული გარიგებებისა, რომლის შემოსავალიც აღირიცხება წმინდა უცხოური ვალუტის შემოსულობაში), რომელიც მომხმარებლებს ეკისრება ვალუტის კონვერტაციის მომსახურებისთვის საზღვარგარეთ ბარათების გამოყენების შემთხვევაში.

შემოსავალი დივიდენდის სახით

დივიდენდიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როცა ბანკს განესაზღვრება თანხების მიღების უფლება.

არარეგულარული მუხლები

ბანკი ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. ბანკი არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის ბანკის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია და ამიტომ მათი გათვალისწინება არ უნდა მოხდეს სამომავლო პროგნოზების გაკეთებიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამუშაო, წარსადგენი ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ბანკის წარსადგენი ვალუტაა. ბანკის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ შემოსულობას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკურსო კომპონენტი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვაობები გარკვეული ოპერაციის სახელშეკრულებო სავალუტო კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს აისახება უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას გამოკლებული ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

	ლარი გირვანქა სტერლინგთან მიმართებით	*ლარი აშშ დოლართან მიმართებით*	*ლარი ევროსთან მიმართებით*	*ლარი ბელარუსულ რუბლთან მიმართებით*
2020 წლის 31 დეკემბერი	4.4529	3.2766	4.0233	1.2647
2019 წლის 31 დეკემბერი	3.7593	2.8677	3.2095	1.3639
2018 წლის 31 დეკემბერი	3.3955	2.6766	3.0701	1.2418

უცხოური ოპერაციის შეძენის შედეგად მიღებული გუდვილი და ამ შეძენის შედეგად აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში სამართლიანი ღირებულების მისაღებად შეტანილი კორექტივები აღირიცხება, როგორც უცხოური ოპერაციების აქტივები და ვალდებულებები და კონვერტირდება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი კურსით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები

ცვლილებები ფასს 16-ში: „COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“

საიჯარო გადახდებში შესული ცვლილებების გავლენა ბუღალტრულ აღრიცხვაზე დამოკიდებულია იმაზე, ეს ცვლილება აკმაყოფილებს თუ არა იჯარის მოდიფიკაციის განმარტებას, რომელიც მოცემულია ფასს 16-ში, როგორც „იჯარის მოქმედების სფეროს, ან საიჯარო ანაზღაურების ცვლილება,რომელიც გათვალისწინებული არ იყო იჯარის თავდაპირველ პირობებში“.

ცვლილება ითვალისწინებდა შეღავათს მოიჯარეებისთვის, კერძოდ, ათავისუფლებდა იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. თუ მოიჯარე ისარგებლებს ამ შეღავათით, COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა უნდა აღირიცხოს ისე, თითქოს ის არ არის იჯარის მოდიფიკაცია.ამის შედეგად დათმობა ბუღალტრულად აღირიცხება, როგორც ცვლადი საიჯარო გადასახადი იმ პერიოდ(ებ)ში, როდესაც მოხდა გადასახადის შემცირება. ეს ცვლილება ძალაში შედის 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება.

ბანკმა ეს ცვლილება ვადაზე ადრე მიიღო.

ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8-ში: „ტერმინ „არსებითის“ განმარტება“

ცვლილებაში წარმოდგენილია ახალი განმარტება, რომლის მიხედვით, „ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისი გამოტოვება, მცდარად წარმოდგენა ან დაფარვა გავლენას მოახდენს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლების გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც ისინი იღებენ კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაციის შემცველ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.“ ცვლილებები ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის.

ამ ცვლილებას გავლენა არ მოუხდენია ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ბანკის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. ბანკი ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ფასს-ის სტანდარტების 2018-2020 წლიური გაუმჯობესებების პროცესის ფარგლებში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 9-ის შესწორება. ცვლილება განმარტავს საკომისიოებს, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს იმის შეფასებისას, ახალი ან მოდიფიცირებული ფინანსური ვალდებულების პირობები არსებითად განსხვავდება თუ არა თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების პირობებისგან. ამ საკომისიოებში შედის მხოლოდ მსესხებელსა და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც მსესხებელმა ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს. საწარმო ცვლილებებს იყენებს იმ ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღით ან თარიღიდან, რომლის განმავლობაშიც საწარმო პირველად იყენებს ამ ცვლილებას.

ცვლილება ძალაში შედის 2022 წლის 1 იანვარს ან უფრო გვიან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ბანკი აღნიშნულ ცვლილებას გამოიყენებს ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც მოდიფიცირებული ან გაცვლილია იმ წლიური პერიოდის დასაწყისიდან, რომლის განმავლობაშიც იგი პირველად იყენებს ცვლილებას და არ მოელის, რომ ეს არსებით გავლენას მოახდენს მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება – მეორე ფაზის ცვლილებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში. ფასს 4-სა და ფასს 16-ში

2020 წლის აგვისტოში ბასსს-მა გამოუშვა საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება – *მეორე ფაზის ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში, ბასს (IAS) 39-ში, ფასს (IFRS) 7-ში. ფასს (IFRS) 4-სა და ფასს (IFRS) 16-ში (ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების (IBOR) შესწორების მეორე ფაზა), ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსების უპროცენტო განაკვეთებით ჩანაცვლებით გამოწვეული ბუღალტრული პრობლემების გადასაჭრელად.*

ცვლილება მოიცავს რამდენიმე შეღავათს და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულებას. შეღავათები ვრცელდება ფინანსური ინსტრუმენტის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე გადატანაზე.

საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორების შედეგად სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში ცვლილებები, გამარტივებული მიდგომის მიხედვით, უნდა აღირიცხოს, როგორც ცვლილებები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში, თუკი ფინანსური ინსტრუმენტის გადატანა ბანკთაშორისი შეთავაზების საორიენტაციო ინდექსიდან ურისკო განაკვეთზე ხდება ეკონომიკურად თანაბარ პირობებში. ცვლილებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. დასაშვებია უფრო ადრე გამოყენებაც.

ბანკი ამჟამად მუშაობს ამ სტანდარტზე გადასვლაზე და ცვლილებას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან – 2021 წლის 1 იანვრიდან.

სხვა სტანდარტებს, რომლებიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა, არსებითი გავლენა არ აქვს ბანკის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ბანკის დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

როდესაც ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (27-ე შენიშვნა).

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შიდა კაპიტალიზაციისა (იგივე დისკონტირებული სამომავლო ფულადი ნაკადების მეთოდი) და გაყიდვების შედარების მეთოდების კომბინაციის გამოყენებით.

ბანკი თავის საინვესტიციო ქონებას საკმარისი სიხშირით აფასებს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. COVID-19-ის გამო უძრავი ქონების ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად საინვესტიციო ქონება შეიძლება არ იყოს გაცხადებული სამართლიანი ღირებულებით საანგარიშგებო თარიღისთვის, ამიტომ ბანკმა თავისი აქტივების შესაფასებლად დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. შეფასების შედეგები წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში, ხოლო შეფასებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და ხერხები აღწერილია 28-ე შენიშვნაში. ბანკის უძრავი ქონება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში მდებარეობს. მართალია, საქართველოში მეორადი ბაზარი საკმარის საბაზრო ინფორმაციას იძლევა მცირე და საშუალო ზომის ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის, დიდი ზომის ქონების შეფასება მოითხოვს სხვადასხვა საბაზრო და არასაბაზრო ამოსავალი მონაცემების გამოყენებას ხელმისაწვდომ შედარებად გასაყიდ ფასებში შესატანი კორექტირებების განსაზღვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ყველაზე ზუსტ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მაინც განსხვავებული იყოს.

ფინანსური აქტივების რეზერვი

ფასს 9 ხელმძღვანელობას ავალდებულებს მთელი რიგი გადაწყვეტილების (განსჯის), დაშვების და შეფასების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვზე. შეფასებები და გადაწყვეტილებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ცოდნასა და წარსულში მიღებულ გამოცდილებას.

COVID-19-ის გამო ამ სფეროებთან მიმართებით სუბიექტური განსჯა გამოიყენება, ვინაიდან მსგავსი მოვლენის ეკონომიკურ-ფინანსური გავლენის შესახებ ისტორიული გამოცდილება არ არსებობს. COVID-19-ის პანდემიის უპრეცედენტო ხასიათისა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის გამო, ბანკმა ხელახლა განიხილა არსებული სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები და მეთოდოლოგიაში გამოიყენა ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე. ამის შედეგად ბანკმა მთელი რიგი ცვლილება შეიტანა მნიშვნელოვან განსჯებში, რომლებიც გამოიყენა წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ძირითადი გადაწყვეტილებები მოცემულია ქვემოთ.

(ათას ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დეფოლტის, საკრედიტო რისკით გაუფასურების და გამოსწორების (აღმოფხვრის) განმარტება (27-ე შენიშვნა)

ბანკი დეფოლტს განმარტავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. განმარტება შეიძლება სხვადასხვა პროდუქტისთვის განსხვავებული იყოს. განმარტება შეესაბამება შიდა საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის გამოყენებულ განმარტებას და აკმაყოფილებს ფინანსური ინსტრუმენტების რისკის კლასიფიკაციის შიდა წესებს. კონტრაჰენტი დეფოლტში მყოფად კლასიფიცირდება ან პროცენტის, ძირითადი თანხის თუ საკომისიოს გადახდის 90 დღით დაგვიანების შემთხვევაში, ან გაკოტრების, თაღლითობის წარმოების, იძულებითი ლიკვიდაციის პროცესის დაწყების თუ გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის სხვა მტკიცებულების აღმოჩენის შემთხვევაში, იმისდა მიხედვით, თუ რომელი დგება უფრო გვიან. იმის განსაზღვრა, ფინანსური ინსტრუმენტი არის თუ არა საკრედიტო რისკით გაუფასურებული, ეყრდნობა დეფოლტის რისკს და არ ითვალისწინებს საკრედიტო რისკის შემამცირებელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა უზრუნველყოფის საგანი ან გარანტია (თავდებობა).

ინსტრუმენტი საკრედიტო რისკით გაუფასურებულად ითვლება მაშინ, თუ კონტრაჰენტი არის დეფოლტის სიტუაციაში და/ან ინსტრუმენტი არის შეძენისას ან შექმნისას გაუფასურებული.

როდესაც ხდება ფინანსური აქტივის კლასიფიცირება საკრედიტო რისკით გაუფასურებულად (გარდა შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული აქტივებისა), იგი ინარჩუნებს ამ კლასიფიკაციას, თუ ყველა ვადაგადაცილებული თანხა არ არის ამოღებული ან არ არსებობს კრედიტის დაფარვის ზოგადი მტკიცებულება. საკრედიტო რისკის გამო რესტრუქტურიზებული ფინანსური აქტივების გასვლის კრიტერიუმებად გამოიყენება მინიმუმ ექვსი თანმიმდევრული თვის გადახდები. გამონაკლისია კორპორაციული სესხების პორტფელი და სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. მათ შემთხვევაში გასვლის კრიტერიუმებად განისაზღვრება გაკოტრებული ან კრედიტუუნარო სტატუსის შეცვლა, ლიკვიდურობის პრობლემების აღმოფხვრა ან კრედიტის ამოღების სხვა ზოგადი მტკიცებულება, რაც ინდივიდუალურად ფასდება. საკრედიტო რისკით გაუფასურებული სხვა ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, გასვლის კრიტერიუმებად განისაზღვრება მთლიანი ვადაგადაცილებული თანხის დაფარვა, რეფინანსირების ან უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გარდა.

როდესაც საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივი დააკმაყოფილებს დეფოლტის სიტუაციიდან გასვლის კრიტერიუმებს, იგი დარჩება მეორე სტადიაზე მინიმუმ მომდევნო 12 თანმიმდევრული თვის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ 12 თანმიმდევრული თვის განმავლობაში დეფოლტის სტატუსი არ არის მინიჭებული, იგი გადადის პირველ სტადიაზე, თუ საკრედიტო რისკი ინსტრუმენტის შექმნის თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად არ არის გაზრდილი.

საკრედიტო რისკი მნიშვნელოვანი ზრდა

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ არის ფასს 9-ით განმარტებული ტერმინი და ამიტომ მის მნიშვნელობას განსაზღვრავს ხელმძღვანელობა თავისი გამოცდილებისა და განსჯის საფუძველზე. იმის შესაფასებლად, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თუ არა, ბანკმა დაადგინა მთელი რიგი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმი სხვადასხვა ფაქტორის ჰოლისტიკური ანალიზის საფუძველზე. ამ ფაქტორებს შორისაა როგორც კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტისთვის ან მსესხებლისთვის სპეციფიკური, ისე პორტფელის გარკვეული ნაწილებისთვის დამახასიათებელი ფაქტორები. ეს კრიტერიუმებია:

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა (გაგრძელება)

- საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რომელიც გამოიხატება თავდაპირველი აღიარების შემდეგ დეფოლტის რისკის ფარდობითი და/ან აბსოლუტური ზრდით. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განისაზღვრება სესხის გაცემის თარიღისთვის საკრედიტო რისკის რეიტინგების (შიდა და გარე) და საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის რეიტინგების თითოეული აქტივისთვის ინდივიდუალურად შედარების საფუძველზე. ზღვარი (ლიმიტები) ცალ-ცალკე განისაზღვრება კორპორაციული, საცალო და მცირე/საშუალო საწარმოებისთვის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელებისთვის იმისდა მიხედვით, თუ რა თავდაპირველი რეიტინგი ჰქონდა მინიჭებული ამ ინსტრუმენტებს მათი წარმოქმნისას.
- კომერციულ, ფინანსურ ან ეკონომიკური პირობებში უარყოფითი ცვლილებების პროგნოზის არსებობა, რომლებიც ცუდად აისახება მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე.
- სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაცია მსესხებლის ფინანსური პრობლემების გამო, გარდა დეფოლტისა
- ცალკეული ხელშეკრულების დონეზე ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა აღემატება დადგენილ 30-დღიან ნორმას.
- სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლები, მაგალითად, საკრედიტო რისკის გარე საბაზრო მაჩვენებლები ან ზოგადი ეკონომიკური პირობები, რომლებიც მიანიშნებს იმაზე, რომ სესხის გაცემის თარიღიდან რისკის დონე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ზემოაღნიშნული ნიშნები ვლინდება ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე, რათა მოხდეს თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საკრედიტო რისკის ცვლილების დაფიქსირება.

COVID-19-ის პანდემიაზე რეაგირების მიზნით, ბანკმა თავის მსესხებლებს 2020 წლის მარტში სამთვიანი საშეღავათო პერიოდი შესთავაზა, რათა მნიშვნელოვნად შეემცირებინა მომხმარებლების ბანკის ფილიალებში ფიზიკური ვიზიტების აუცილებლობა. ასეთი მოვლენა ავტომატურად არ ითვლება საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მოვლენად (ანუ კრედიტის ოდენობის პირველიდან მეორე სტადიაზე გადატანის მიზეზად) და კრედიტის ოდენობა მეორე სტადიაზე მხოლოდ მაშინ იქნა გადატანილი, როდესაც არსებობდა მსესხებლის ფინანსური სიძნელეების ობიექტური მტკიცებულება, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ რისკის დონე სესხის გაცემის დღიდან გაზრდილია.

საცალო პორტფელი:

2020 წლის მარტის შემდეგ ბანკმა გააგრძელა სრული ან ნაწილობრივი შეღავათის მასშტაბური შეთავაზება საცალო სეგმენტის მსესხებლებისთვის. იმის შესაფასებლად, შეღავათით მოსარგებლე მსესხებლის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი თუ არა, ბანკმა რამდენიმე ფაქტორის ჰოლისტიკური ანალიზის საფუძველზე ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები დაადგინა: სესხები, რომლებზეც სრული შეღავათი გავრცელდა (ანუ როგორც ძირითად თანხაზე, ისე პროცენტზე), მეორე ან მესამე სტადიაზე გადავიდა სესხის მომსახურების კოეფიციენტის, გახანგრძლივებული ვადისა და სხვა შესაბამისი პარამეტრების მიხედვით.

კორპორაციული:

სესხის გაცემიდან საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დასადგენად ბანკმა ინდივიდუალური მიდგომა გამოიყენა. სესხი მეორე სტადიაზე გადავიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მსესხებლის ფინანსური სიძნელეების ობიექტური მტკიცებულება მიანიშნებდა იმაზე, რომ რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა სესხის გაცემის დღიდან. კერძოდ, თუ მოსალოდნელი არ იყო, რომ მსესხებელი სესხს სრულად დაფარავდა შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, მიიჩნეოდა, რომ სესხის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვნად გაიზარდა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ასახავს მიუკერძოებელ, ალბათობით შეწონილ შეფასებას, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად ფაქტორებს: დეფოლტის ალბათობა, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში, და დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება, რაც უფრო დაწვრილებით ქვემოთაა განმარტებული:

დეფოლტის ალბათობის შეფასება: ბანკი დეფოლტის ალბათობას აფასებს სარეიტინგო მოდელის კლასიფიკაციის შედეგებისა და მიგრაციის მატრიცების მიდგომის ერთობლიობაზე დაყრდნობით, რაც კორექტირდება მინიმუმ სამწლიანი მაკროეკონომიკური მოლოდინების მიხედვით ყველა პორტფელისთვის, რათა წარმოადგენდეს დეფოლტის ალბათობის პარამეტრების საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) შეფასებებს. მიგრაციის მატრიცა იქმნება ისე, რომ ასახავდეს მონაცემების ისტორიული პერიოდის განმავლობაში წლიური მიგრაციის საშუალო შეწონილს. რისკის ჯგუფები განისაზღვრება იმგვარად, რომ უზრუნველყოფდეს შიდაჯგუფურ ერთგვაროვნებას და დეფოლტის ალბათობის მოსალოდნელი დონეების დიფერენციაციას. სასესხო პორტფელების შემთხვევაში, გარდა კორპორაციული სესხებისა, დეფოლტის ალბათობა დამატებით კორექტირდება ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნიდან გასული დროის გათვალისწინებით. მოდელები მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და, სადაც შესაძლებელია, ეფუძნება წამყვანი სარეიტინგო სააგენტოების, საკრედიტო ბიურის და შიდა სარკრედიტო რეიტინგის სისტემების ინფორმაციას. ვინაიდან მესამე სტადიის ფინანსური ინსტრუმენტები ვადაგადაცილებულია, დეფოლტის ალბათობა ამ შემთხვევაში 100%-ს უდრის.

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება: დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მოცულობას ფინანსური აქტივის არსებობის განმავლობაში პოტენციური დეფოლტის დადგომის მომენტისთვის. იგი წარმოადგენს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ ფულად ნაკადებს, ძირითადი თანხის, პროცენტის და ჯარიმების მოსალოდნელი გადახდების გათვალისწინებით, რომლებიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. პირველი სტადიის ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების გამოსათვლელად ბანკი აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, რათა გამოიანგარიშოს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. მეორე და მესამე სტადიებისა და შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება ფასდება ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მომხდარი მოვლენებისთვის. ბანკი დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას სხვადასხვანაირად აფასებს დაფარვის გრაფიკის მქონე პროდუქტებისა და დაფარვის გრაფიკის არმქონე პროდუქტებისთვის. დაფარვის გრაფიკის მქონე ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, ბანკი აფასებს დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ საპროგნოზო დავალიანებას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიდგომის გამოყენებით, რომელშიც შეაქვს კორექტირებები მოსალოდნელი ავანსებისა და ვადაგადაცილებული დღეების გათვალისწინებით. დაფარვის გრაფიკის არმქონე პროდუქტების შემთხვევაში, როგორიცაა საკრედიტო ბარათები, საკრედიტო ხაზები და ფინანსური გარანტიები, ბანკი გამოითვლის დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ მოსალოდნელ დავალიანებას ლიმიტის ათვისების მიდგომის გამოყენებით. ზემოაღნიშნული მეთოდით დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი მოსალოდნელი დავალიანება გამოითვლება მოსალოდნელი უტილიზაციის განაკვეთის გამოყენებით და რეალურად ათვისებული თანხების ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება (გაგრძელება)

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში: დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში განიმარტება, როგორც კონტრაჰენტის მხრიდან გადაუხდელობის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგი. იგი წარმოადგენს დავალიანების შეფასებას, რომლის ამოღებაც ვერ მოხერხდება დეფოლტის შემთხვევის გამო და ამიტომ თვალსაჩინოდ ასახავს დანაკარგების სერიოზულობას. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების დადგენისას გასათვალისწინებელია უზრუნველყოფის საგნიდან და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა საშუალებებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ან გაკოტრების პროცესიდან მოსალოდნელ თანხებს არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე, სადაც შესაძლებელია, ქონების რეალიზაციისთვის საჭირო დროს და მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგითობას. ბანკი თავის ფინანსურ ინსტრუმენტებს ყოფს ერთგვაროვან პორტფელებად იმ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც აქტუალურია სამომავლო ფულადი ნაკადების შესაფასებლად. გამოყენებული მონაცემები მოიცავს წარსულში მიღებული ზარალის მონაცემებს და გარიგების უფრო მეტ მახასიათებლებს (მაგ. პროდუქტის ტიპი, უზრუნველყოფის ტიპების უფრო ფართო სპექტრი). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით ბანკი აფასებს დავალიანების ამოღების მაჩვენებელს (არა უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით), დეფოლტის აღმოფხვრის მაჩვენებელს და ხელახალი დეფოლტის ალბათობას. უზრუნველყოფის საგნის მეშვეობით დავალიანების ამოღება თითოეული ინსტრუმენტისთვის ცალკე განიხილება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების გაანგარიშებისას.

მოსალოდნელი ზარალის განსაზღვრისას COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული განუსაზღვრელობის ასახვის მიზნით ბანკმა კიდევ 20%-ით შეამცირა დავალიანების ამოღების და დეფოლტის აღმოფხვრის განაკვეთები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გათვალისწინებული აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში უნდა აისახოს უზრუნველყოფის საგნიდან და საკრედიტო რისკის შემცირების სხვა საშუალებებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები. უზრუნველყოფის საგნის ბუღალტრული აღრიცხვა და ასახვა ფასს 9-ის მიზნებისთვის შეესაბამება ბანკის რისკის მართვის ზოგად პრინციპებს, პოლიტიკასა და პროცესებს. უზრუნველყოფის საგანი, თუ დასაკუთრებული არ არის, არ აისახება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. უზრუნველყოფის საგნის სამართლიანი ღირებულება გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაზე. სამართლიანი ღირებულება, როგორც წესი, ფასდება უზრუნველყოფის გადაცემის თარიღიდან და გადაფასდება ყოველწლიურად, რათა ასახოს ყველა არსებითი რისკი. წლის ბოლოსთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე პანდემიის გავლენის ასახვის მიზნით, უზრუნველყოფის საგნების ღირებულებაზე აისახა დამატებითი დისკონტი (სხვაობა საბაზრო და გირავნობის თანხებს შორის).

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით, საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება გონივრულ და დასაბუთებულ საპროგნოზო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მიიღება გაუმართლებელი დანახარჯისა და ძალისხმევის გარეშე და ითვალისწინებს წარსულში მომხდარ მოვლენებს, ამჟამად არსებულ პირობებს და სამომავლო ეკონომიკური პირობების პროგნოზს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია (გაგრძელება)

იმისათვის, რომ ბანკმა საკრედიტო ზარალის რეზერვში ასახოს საპროგნოზო ინფორმაცია, იგი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცემულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს. მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებსაც ეს პროგნოზები შეიცავს და რომლებსაც ბანკი იყენებს თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელში, მოიცავს მშპ-ის ზრდის ტემპს, სავალუტო კურსსა და ინფლაციის ტემპს. ეს საპროგნოზო მაკროეკონომიკური ცვლადები, როგორც წესი, ახლდება ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ალბათობით შეწონილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასადგენად საჭიროა მთელი რიგი სამომავლო ეკონომიკური პირობის შეფასება. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ბანკი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის სამ სხვადასხვა ეკონომიკურ სცენარს მიმართავს: ოპტიმისტურს (0.25-იანი წონა), საბაზოსა (0.50-იანი წონა) და პესიმისტურს (0.25-იანი წონა) თითოეული შესაბამისი პორტფელისთვის. თითოეული სცენარისთვის წონა გამოითვლება ალბათური ეკონომიკური მოდელის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს უახლეს ინფორმაციას და საქართველოს ეროვნული ბანკისგან მიღებულ ისტორიულ მონაცემებს.

ეკონომიკური გარემო გაურკვეველი რჩება და მომავალ გაუფასურების რეზერვის ხარჯზე შეიძლება აისახოს მეტი მერყეობა იმისდა მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება COVID-19 პანდემია და მისი შეჩერების და სხვა ზომები.

ბანკის აზრით, ეს პროგნოზები ყველაზე ზუსტად აფასებს მოვლენების შესაძლო განვითარებას იმ სარწმუნო ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომია.

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები

ქვემოთ წარმოდგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თითოეული გეოგრაფიული სეგმენტისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული პერიოდის ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები. ყველა პორტფელისთვის გამოყენებულია „საბაზო“, „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ სცენარები.

საქართველო

მთავარი ფაქტორები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	მიწიბე-ბული წონა	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			მიწიბე-ბული წონა	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			მიწიბე-ბული წონა	2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
			2020	2021	2022		2019	2020	2021		2018	2019	2020
მშპ-ის ზრდა %-ში													
	ოპტიმისტური	25%	-3.00%	6.00%	5.00%	25%	5.50%	6.00%	5.00%	25%	6.00%	5.50%	5.00%
	საბაზო	50%	-4.00%	4.50%	5.00%	50%	4.50%	5.00%	5.00%	50%	5.00%	5.00%	5.00%
	პესიმისტური	25%	-9.00%	2.50%	4.00%	25%	2.50%	3.50%	4.50%	25%	2.00%	2.50%	3.50%
ლარი / აშშ დოლარის გაცვლითი კურსი													
	ოპტიმისტური	25%	5.00%	5.00%	0.00%	25%	5.00%	5.00%	0.00%	25%	10.00%	5.00%	-5.00%
	საბაზო	50%	0.00%	0.00%	0.00%	50%	0.00%	0.00%	0.00%	50%	0.00%	0.00%	0.00%
	პესიმისტური	25%	-10.00%	-5.00%	5.00%	25%	-10.00%	-5.00%	5.00%	25%	-15.00%	-10.00%	5.00%
სფი-ს ინფლაციის ტემპი %-ში													
	ოპტიმისტური	25%	5.50%	4.00%	3.00%	25%	4.50%	3.50%	3.00%	25%	3.40%	3.20%	3.00%
	საბაზო	50%	4.50%	1.50%	2.50%	50%	4.50%	2.50%	3.00%	50%	2.90%	3.00%	3.00%
	პესიმისტური	25%	7.00%	2.00%	2.50%	25%	7.00%	5.00%	3.00%	25%	4.50%	4.00%	3.00%

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა სებ-ის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს 2020 წლის მაისის მდგომარეობით.

ყველა სხვა პარამეტრი თუ უცვლელი დარჩება, მშპ-ის ზრდა, ხოლო სავალუტო კურსის ვარდნა და ინფლაციის ტემპის კლება გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას, ხოლო ამის საპირისპირო ცვლილებები გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. მას მოჰყვება სავალუტო კურსი და ინფლაცია. საცალო პორტფელზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ნაკლებად მოქმედებს სავალუტო კურსი, რადგან დიდი წილი ლარში გამოხატულ დავალიანებაზე მოდის. თუმცა, საცალო პორტფელიდან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოქმედებს ინფლაცია, რომელსაც საწარმოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

ცხრილში ნაჩვენებია აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხების მგრძნობელობა ამ მოდელში გამოყენებული საპროგნოზო დაშვებების მიმართ. ამ მიზნით, თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარს ინდივიდუალურად 100%-იანი წონა მიენიჭა და გადაანგარიშდა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობა საპროგნოზო დაშვებების მიმართ:

	2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით*		
			ოპტიმისტური	*საბაზო*	*პესიმისტური*
კომერციული სესხები	155,315	3.39%	3.36%	3.38%	3.43%
იპოთეკური სესხები	48,552	1.30%	1.07%	1.07%	1.97%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	93,830	3.00%	2.65%	2.69%	3.97%
სამომხმარებლო სესხები	112,811	5.52%	5.12%	5.16%	6.62%
სალომბარდო სესხები	227	0.22%	0.21%	0.21%	0.23%

	2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	*გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა*	*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით*		
			ოპტიმისტური	*საბაზო*	*პესიმისტური*
კომერციული სესხები	78,410	2.15%	2.14%	2.15%	2.17%
იპოთეკური სესხები	9,012	0.30%	0.29%	0.30%	0.30%
მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები	37,944	1.50%	1.48%	1.49%	1.54%
სამომხმარებლო სესხები	72,187	3.71%	3.67%	3.70%	3.77%
სალომბარდო სესხები	253	0.30%	0.30%	0.30%	0.30%

ფინანსური ინსტრუმენტების დაჯგუფება კოლექტიურად შეფასებისთვის

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ერთგვაროვანი ფინანსური ინსტრუმენტები ერთიანდება შემდეგი წესით: კორპორატიული სესხების პორტფელი ჯგუფდება სესხის დაფარვის წყაროს ტიპების მიხედვით; ხოლო საცალო სესხების პორტფელი ჯგუფდება საკრედიტო რისკის ისეთი მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა აქტივის ტიპი, უზრუნველყოფის დონე, დაფარვის წყაროს ტიპი და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. რაც შეეხება საშუალო და მცირე საწარმოებზე გაცემულ და მიკროსესხების პორტფელებს, აქ ფინანსური ინსტრუმენტები ჯგუფდება აქტივის ტიპის, ვადაგადაცილების პერიოდის, უზრუნველყოფის დონისა და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების მიხედვით.

განახლებადი პროდუქტების მოსალოდნელი ვადის განსაზღვრა

განახლებადი პროდუქტების შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი ვადა განისაზღვრება ან მომდევნო განახლების თარიღზე დაყრდნობით, ან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ ფაქტობრივ ვადაზე დაყრდნობით, რომელიც განისაზღვრება ემპირიული დაკვირვებით ამ ინსტრუმენტის არსებობის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი საღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ჩამოწერები

ბანკი ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს, რაც არსებითად უცვლელია კორპორაციული და არაუზრუნველყოფილი სესხების პორტფელებისა თუ უზრუნველყოფილი სესხების შემთხვევაში, გარდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებისა. იპოთეკური და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სხვა სესხების შემთხვევაში ნაშთები მიიჩნევა უიმედოდ და უნდა ჩამოიწეროს, 1,460 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუ ჩამოსაწერი თანხა სესხებზე შესაძლო დანაკარგების დარიცხულ რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ აღირიცხება, როგორც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯი. დავალიანების ყოველგვარი შემდგომი ამოღება კრედიტდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ხარჯის ანგარიშზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის რეტროსპექტული ტესტირება

ბანკის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელის ხარისხისა და საიმედოობის მონიტორინგისთვის ბანკი ატარებს რეტროსპექტური ტესტირების და საბაზრო მონაცემებთან შედარების პროცედურებს, რაც გულისხმობს მოდელის შედეგების შედარებას ფაქტობრივ შედეგებთან, შიდა გამოცდილებასა და გარე დაკვირვებადი მონაცემების მიხედვით. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ბანკი მიმართავს სტატისტიკურ მოდელირებას, რათა მიიღოს დეფოლტის რაოდენობის პროგნოზირებული განაწილება. დეფოლტების დაკვირვებადი რაოდენობა შემდეგ ედრება ამ განაწილებას, რაც ბანკს მოდელში სტატისტიკური ნდობის ინტერვალის მიღების საშუალებას აძლევს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრისთვის რეტროსპექტული ტესტირებისას ხდება დაკვირვებადი ზარალის შედარება პროგნოზირებულ დანაკარგებთან დეფოლტის შემთხვევაში. თუ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გადახრის ან პარამეტრიზაციის ნაკლოვანებების აღმოჩენის შემთხვევაში, ხდება შესაბამისი მოდელების დახვეწა და გადახედვა. რეტროსპექტული ტესტირების პროცედურების შედეგად მოდელში შესული ნებისმიერი ცვლილებები აღირიცხება, როგორც ცვლილებები საღრიცხვო შეფასებებში პერსპექტიულად გამოყენებით.

არაკონვერტირებადი სუბორდინირებული ვალი	707,648	461,481	419,
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე	**2,830,706**	**3,479,369**	**2,559,277**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა 5.49%-მდე გადაიხადა საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან აშშ დოლარში ნასესხებ სახსრებზე (2019 წ.: 6.50%-მდე, 2018 წ.: 6.10%-მდე). 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ბანკმა 9.39%-მდე გადაიხადა აშშ დოლარში აღებულ სუბორდინირებულ სესხზე (2019 წ.: 11.13%-მდე, 2018 წ.: 10.00%-მდე).

17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე (გაგრძელება)

საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ზოგი გრძელვადიანი სესხი აღებულია გარკვეული პირობებით („კრედიტორის პირობები“), რომ ბანკი შეინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის გარკვეულ ლიმიტებს, ლიკვიდურობას, სავალუტო პოზიციებს, საკრედიტო რისკების მოცულობას, მოზიდული სახსრების წილს და ა.შ. 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან აღებულ მნიშვნელოვან სესხებზე აკმაყოფილებდა კრედიტორთა ყველა პირობას.

2015 წლის მაისში ბანკმა გააფორმა 90 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან. სესხს, რომელშიც 20 მილიონი აშშ დოლარით მონაწილეობს ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის, ათწლიანი ვადა აქვს. სესხი სებ-მა დაამტკიცა, როგორც ბანკის მეორადი კაპიტალი ბაზელ II-ის ჩარჩოს თანახმად და, როგორც ბანკის მეორადი კაპიტალი, დაფარვის ვადის გასვლამდე გაათავისუფლა ბაზელ III-ის ჩარჩოს მოქმედებისგან. სესხი შეიცავს გარკვეულ ინფორმაციას და ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც ახასიათებს განვითარების ფინანსურ დაწესებულებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ხოლო გადაუხდელობის (დეფოლტის) ჩვეული შემთხვევების დადგომისას (გადახდისუუნარობის და/ან მოქმედი რეგულაციების მიხედვით ლიკვიდაციის დადგომის გარდა) ვადაზე ადრე დაფარვის ოფციონი მოქმედებს მხოლოდ (1) სესხის ვადიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ; და (ii) მხოლოდ სებ-ის მხრიდან სესხის დაფარვის ასეთ დაჩქარებაზე წინასწარი დასტურის შემთხვევაში.

2019 წლის ივნისში ბანკმა და ევროპულმა ფონდმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის გააფორმეს 10 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება ათი წლის ვადით. სუბორდინირებული სესხი, საქართველოში ახლად მიღებული ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, მეორად კაპიტალს წარმოადგენს.

2019 წლის სექტემბერში ბანკმა responsAbility Micro and SME Finance Fund-თან გააფორმა 10 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხის ხელშეკრულება ათი წლის ვადით. სუბორდინირებული სესხი, საქართველოში ახლად მიღებული ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, მეორად კაპიტალს წარმოადგენს.

2019 წლის დეკემბერში ბანკმა ხელი მოაწერა 107 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ათწლიანი სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის ხელშეკრულებას, რომელიც მას გამოუყო FMO-მ - ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკმა - სხვა კრედიტორებთან ერთად. სესხის გაცემული ტრანში, 52 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, შევიდა ბანკის მეორად კაპიტალში საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობით, ბაზელ III-ის ჩარჩოს შესაბამისად. მარეგულირებელმა ორგანომ კლასიფიკაცია ოფიციალურად დაამტკიცა 2019 წლის დეკემბერში. დარჩენილი აუთვისებელი ტრანში, სავარაუდოდ, ანალოგიურად აისახება ბანკის მეორად კაპიტალში მას შემდეგ, რაც სებ-ისგან შესაბამისი დამტკიცების შემდეგ. მეორადი კაპიტალის მოქმედი წესების თანახმად, სესხი კრედიტორებს დაფარვის დაჩქარების უფლებას აძლევს სებ-ის რეგულაციებით განსაზღვრული გადახდისუუნარობის ან ლიკვიდაციის დადგომის შემთხვევაში. ვადაზე ადრე დაფარვის სხვა მიზეზები შეიძლება იყოს: (i) თუ სესხი ან მისი ნაწილი ვერ კვალიფიცირდება მეორად კაპიტალად სებ-ის მიერ შესაბამისი სესხის ან მისი ნაწილის გაცემიდან 45 დღეში; და (ii) დაფარვა სებ-ის წინასწარი თანხმობით მხოლოდ კანონდარღვევის ან კონტროლის ცვლილების შემთხვევაში, სესხის ვადიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

2020 წლის 2 აპრილს ბანკმა აითვისა 2019 წლის დეკემბერში აღებული 107 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის მერე ტრანში $55 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ბანკმა მიიღო სებ-ისგან თანხმობა მასზედ, რომ 2020 წლის აპრილიდან მოახდინოს სესხის კლასიფიცირება ბანკის მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტად ბაზელ 3-ის რეგულაციის თანახმად, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ბანკის კაპიტალიზაციის დონეს.

17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე (გაგრძელება)

2020 წლის 13 მარტს ბანკმა 15 მილიონი ევრო აითვისა ევროპის საინვესტიციო ბანკისგან 2019 წლის დეკემბერში გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული 50 მილიონი ევროს საკრედიტო ხაზიდან. სასესხო თანხა მან გამოიტანა ლარში ხუთი წლის ვადით. ლარში მთლიანი საკრედიტო ხაზის 50%-მდე ათვისება არის შესაძლებელი, ხოლო დარჩენილი თანხა ევროში ან აშშ დოლარში იქნება გამოხატული. ადგილობრივ ვალუტაში მიღებული ტრანში ასევე უზრუნველყოფილია ევროკავშირის სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტით. კრედიტის მიზანია მიკრო, მცირე და საშუალო ზომის, ასევე საშუალო კაპიტალიზაციის მქონე საწარმოების მიერ წამოწყებული საინვესტიციო პროექტების დაფინანსება საქართველოში და ადგილობრივი კერძო სექტორის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების მხარდაჭერა.

2020 წლის 14 აპრილს ბანკმა აითვისა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან 2020 წლის 1 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულებით მიღებული 100 მილიონი ლარის სესხი, რომელიც ხუთ წელიწადში უნდა დაიფაროს. ეს სესხი გამოიყენება ქართული მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ადგილობრივი ვალუტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სუბორდინირებული ვალის ხელშეკრულების დეტალები (მთლიანი სუბორდინირებული ვალის 10%-ზე მეტი, ხელშეკრულების საფუძველზე):

საკრედიტო ხაზის გამცემი	გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თავდაპირველი სახელშეკრულებო ღირებულება	სახალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	სახალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია	29/იან/2015	15/ივნ/2025	ლიბორი + 7.5%	აშშ დოლარი	90,000	293,964	258,
FMO - ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკი	20/დეკ/2019	20/დეკ/2029	ლიბორი + 5.65%	აშშ დოლარი	107,000	347,087	144

18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

	2020	2019	2018
გამოშვებული ევრობლიგაციები და თამასუქები	1,020,428	1,442,298	1,350,9
დამატებითი პირველადი კაპიტალის გამოშვებული თამასუქები	323,320	282,407	
სადეპოზიტო სერტიფიკატები	106,850	274,098	285,00
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	**1,450,598**	**1,998,803**	**1,635,929**

2019 წლის 21 მარტს სს „საქართველოს ბანკმა“ წარმატებით მოახდინა 100 მილიონი აშშ დოლარის 11.125%-იანი დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული თამასუქების პირველადი შეთავაზება, რომელთა გამოსყიდვა შესაძლებელია 5.25 წლის შემდეგ და აგრეთვე პროცენტის გადახდის ყოველი მომდევნო თარიღით, საქართველოს ეროვნული ბანკის წინასწარი თანხმობის შემთხვევაში (შემდგომში „თამასუქები“). თამასუქები გამოშვებულია აშშ-ის ფასიანი ქაღალდების და ბირჟების კომისიის „დებულება S“-ის თანახმად და გასაყიდი ფასი შეადგენს საემისიო ფასის 100.00%-ს. თამასუქები, ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, კვალიფიცირდება, როგორც ბანკის დამატებითი პირველადი კაპიტალი, სებ-ისგან დამტკიცების პირობით.

2020 წლის 1 ივნისს ბანკმა 500 მილიონი ლარი გადაიხადა ლარში გამოხატულ 11.00%-იან თამასუქებზე.

18. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

	გამოშვებული ევრობლიგაციები და თამასუქები	დამატებითი პირველადი კაპიტალის გამოშვებული თამასუქები
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	**454,954**	**-**
სხვა მოძრაობები	895,967	
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს	**1,350,921**	**-**
შემოსულობა დამატებითი პირველადი კაპიტალის სავალო ინსტრუმენტების გამოშვებიდან	-	268,1
სხვა მოძრაობები	91,377	14,2
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	**1,442,298**	**282,407**
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების უკან გამოსყიდვა	(120,549)	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირი თანხის დაფარვა	(440,410)	
სხვა მოძრაობები	139,089	40,9
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	**1,020,428**	**323,320**

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

საი-ინვესტი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა სასამართლო დავა შპს „საი-ინვესტთან“ 7 მილიონი ევროს ოდენობის ანაბარზე გირაოსთან დაკავშირებით, რომლის გამოყენებითაც შემცირდა შპს „სპორტ ინვესტის“ მიერ სს „საქართველოს ბანკისთვის“ გადასახდელი სესხის თანხა. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ სარჩელის გამო არსებითი ზარალის მიღების დაბალი ალბათობა არსებობს, შესაბამისად, ანარიცხები ამ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუქმნია.

რუსთავის აზოტი

East-West United Bank S.A.-მ, Agrochim S.A.-მ და Systema Holding Limited-მა (მოსარჩელეები) წამოიწყეს დავა ბანკის, სს „ბიჯეო ჯგუფის“ და სხვების (მოპასუხეები) წინააღმდეგ, რითაც მოითხოვდნენ ზიანის ანაზღაურებას (დაახლოებით 93.6 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით) უზრუნველყოფის საგნის (უძრავ-მოძრავი ქონება და არამატერიალური აქტივები) ჩამორთმევისა და აუქციონით რეალიზაციის გამო შპს „რუსთავის აზოტის“ გადაუხდელ სესხთან დაკავშირებით, რომელიც 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილია. დავა გადაწყდა ბანკის და ბიჯეოს სასარგებლოდ 2020 წლის დეკემბერში, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სრულიად არ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მიერ მოპასუხეთა წინააღმდეგ აღძრული სარჩელი.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში შესაძლებელია ბანკის წინააღმდეგ სარჩელები აღიძრას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ფინანსური პირობითი ვალდებულებები მოიცავდა შემდეგს:

	2020	*2019*	*2018*
კრედიტის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები			
გაცემული გარანტიები	1,460,511	1,321,380	991,8
აკრედიტივები	124,911	54,815	43,8
გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი	624,386	221,187	237,2
	2,209,808	**1,597,382**	**1,272,853**
გამოკლებული - აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფულადი სახსრები (მე-16შენიშვნა)	(131,946)	(90,227)	(125,2
გამოკლებული - ანარიცხები	(14,359)	(5,269)	(3,7
საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები			
არაუმეტეს 1წლისა	1,949	1,494	27,5
1წელზე მეტი, მაგრამ 5წელზე ნაკლები	2,827	877	72,8
5 წელზე მეტი	1,657	146	28,7
	6,433	**2,517**	**129,092**
კაპიტალურ დანახარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებები	**2,561**	**4,275**	**6,616**

ბანკი თავის აუთვისებელ სასესხო ნაშთებს წარმოადგენს ხელშეკრულებების პირობების და ამ თანხების გაცემასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის მიხედვით. ნაშთები ვალდებულებების სახით წარმოდგენილია, თუ ბანკს აქვს აუთვისებელი თანხების დამატებითი დამტკიცების გარეშე გაცემის დამკვიდრებული პრაქტიკა. 2020 წელს ბანკმა შეცვალა სესხის გაცემის პოლიტიკა გარკვეულ განახლებად საკრედიტო ხაზებთან მიმართებით, რის შედეგადაც გაიზარდა ვალდებულების ნაშთები.

20. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 43,308,125 ჩვეულებრივი აქციისგან. 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 27,993,660 ჩვეულებრივი აქციისგან, რომელთაგან ყველა სრულად განაღდებული იყო. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება ერთი (1) ლარია.

ქვემოთ მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული აქციები:

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	*ჩვეულებრივი აქციების ღირებულება*
2017 წლის 31 დეკემბერი	**27,821,150**	**27,821**
სააქციო კაპიტალის გამოშვება	172,510	
2018 წლის 31 დეკემბერი	**27,993,660**	**27,994**
2019 წლის 31 დეკემბერი	**27,993,660**	**27,994**
2020 წლის 31 დეკემბერი	**27,993,660**	**27,994**

20. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

გამოსყიდული აქციები

ბანკის მფლობელობაში არსებული გამოსყიდული აქციების რაოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 10,000-ს (2019 წლის 31 დეკემბერი: 10,173, 2018 წლის 31 დეკემბერი: 8,995), რომელთა ნომინალური ღირებულება იყო 10 ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 10 ლარი, 2018 წლის 31 დეკემბერი: 9 ლარი).

დივიდენდები

აქციონერებს ლარში გამოხატული დივიდენდების მიღების უფლება აქვთ.

საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფს“ 2020 წელს დივიდენდები არ გამოუცხადებია.

2019 წლის 14 მაისს სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებამ გამოაცხადა 2018 წლის საბოლოო დივიდენდები, თითო აქციაზე 4.97 ლარის ოდენობით. 2019 წლის 17 ივნისს აქციონერებმა მიიღეს საბოლოო დივიდენდები სულ 139,200 ლარის ოდენობით.

2018 წლის 14 ივნისს სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერთა საერთო კრებამ გამოაცხადა 2018 წლის შუალედური მოგების დივიდენდები, თითო აქციაზე 4.31 ლარის ოდენობით. 2018 წლის 2 ივლისს აქციონერებმა მიიღეს შუალედური მოგების დივიდენდები სულ 120,000 ლარის ოდენობით.

სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)

ეს რეზერვი ასახავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში შესულ ცვლილებებს.

არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)

ეს რეზერვი ასახავს არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებულ არარეალიზებულ შემოსულობას (ზარალს).

შემოსავალი აქციაზე

	2020	2019	2018
საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე			
ბანკი ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის განკუთვნილი წლის მოგება	298,721	477,730	333,30
წლის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	27,984,000	27,983,827	27,826,80
შემოსავალი აქციაზე	10.6747	17.0716	11.97

21. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2020	2019	2018
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი	**1,471,673**	**1,330,854**	**1,247,608**
მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან	1,285,904	1,183,946	1,090,11
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	164,436	130,669	133,1
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	17,474	25,599	28,2
წმინდა შემოსულობა (ზარალი) ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან	3,859	(9,360)	(3,90
სხვა საპროცენტო შემოსავალი	**516**	**547**	**2,194**
ფინანსურ ოჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან	450	547	2,1
სხვა აქტივებიდან	66	-	-
საპროცენტო შემოსავალი	**1,472,189**	**1,331,401**	**1,249,802**
კლიენტების ანაბრებსა და თამასუქებზე	(421,212)	(273,536)	(245,40
საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებებზე	(236,810)	(191,672)	(190,89
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე	(132,292)	(154,654)	(110,9
სავალუტო სვოპის პროცენტის ელემენტი	47,582	43,048	
საიჯარო ვალდებულებებზე	(5,193)	(4,783)	
საპროცენტო ხარჯი	**(747,925)**	**(581,597)**	**(547,293)**
ანაბრის დაზღვევის საკომისიო	(9,106)	(6,359)	(4,847)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**715,158**	**743,445**	**697,662**

2020 წელს წმინდა ერთჯერადი ზარალი ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან აისახა სამთვიან საშეღავათო პერიოდთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა საცალო საბანკო მომსახურების კლიენტებისთვის სესხის ძირითადი თანხის და პროცენტის გადაუხდელობას სამი თვით. აღნიშნული წარმოადგენდა დაუყოვნებელ რეაგირებას COVID-19-ის პანდემიის დაწყებაზე, რათა ნაკლებად გამხდარიყო საჭირო მომხმარებლების პირადად გამოცხადება ბანკის ფილიალებში და შემცირებულიყო ვირუსის გავრცელების საფრთხე. ამ მოდიფიკაციებით გამოწვეული წმინდა ზარალი აისახა მოგება-ზარალის ანგარიშგების არარეგულარულ მუხლში.

22. წმინდა საკომისიო შემოსავალი

	2020	2019	2018
საანგარიშსწორებო ოპერაციები	201,550	204,339	173,0
გარანტიები და აკრედიტივები	27,458	24,898	17,3
საკასო ოპერაციები	14,135	18,351	14,8
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	8,438	10,870	1,(
საბროკერო მომსახურების ღირებულება	48	38	
სხვა	3,595	5,238	3,8
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო	**255,224**	**263,734**	**210,693**
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(113,927)	(106,077)	(80,66
გარანტიები და აკრედიტივები	(126)	(1,092)	(8
საკასო ოპერაციები	(5,398)	(5,947)	(4,74
ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები	(1,468)	(1,256)	(2
სადაზღვევო საბროკერო მომსახურების ღირებულება	(963)	(1,007)	(2
სხვა	(3,013)	(3,523)	(2,24
გასამრჯელო და საკომისიო ხარჯი	**(124,895)**	**(118,902)**	**(89,078)**
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	**130,329**	**144,832**	**121,615**

22. წმინდა საკომისიო შემოსავალი (გაგრძელება)

მომხმარებლებისგან მიღებული შემოსავალი

2020 წელს ბანკმა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარა 229,008 ლარის შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან, საკომისიო და სხვა წმინდა შემოსავლის ჩათვლით (2019 წ.: 272,828 ლარი, 2018 წ.: 224,668 ლარი).

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აღიარებული აქვს 33,699 ლარის შემოსავალთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები (2019 წ.: 25,709 ლარი, 2018 წ.: 21,627 ლარი). დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. გადავადებული შემოსავლის აღიარება ხდება შემოსავლად სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან ერთად.

ბანკი არ აკორექტირებს ანაზღაურების დაპირებულ თანხას დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის შესაბამისად, თუ ბანკი ხელშეკრულების გაფორმებისას მოელის, რომ მომხმარებლისთვის ბანკის მიერ დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემასა და მომხმარებლის მიერ საქონლის ან მომსახურების ღირებულების გადახდას შორის ვადა მაქსიმუმ ერთი წელია.

2020 წელს ბანკმა აღიარა 8,639 ლარის შემოსავალი (2019 წ.: 7,222 ლარი, 2018 წ.: 6,873, ლარი), რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ საკონტრაქტო ვალდებულებებს და ასახულია გადავადებულ შემოსავალში.

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული:

	1 წელიწადში	2 წელიწადში	3 წელიწადში	3-დან 5 წელიწადში	5-დან 10 წელიწადში	სულ
2020 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით	9,951	1,544	1,303	2,198	18,703	**33,699**
2019წლის 31დეკემბრის მდგომარეობით	27,071	13,913	8,299	5,025	2,690	**56,998**
2018წლის 31დეკემბრის მდგომარეობით	21,523	9,427	5,533	2,169	152	**38,804**

ბანკი იყენებს ფასს 15-ის 121-ე მუხლით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი საკონტრაქტო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

(ათას ლარში)

23. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი და სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2020	2019	2018
ხელფასები და პრემიები	(193,755)	(199,044)	(181,5(
საპენსიო დანახარჯები	(2,908)	(2,627)	(85
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(196,663)**	**(201,671)**	**(182,360)**

2020 წელს ხელფასები და პრემიები მოიცავს 54,200 ლარის დანახარჯებს წილობრივი ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში (2019 წ.: 57,129 ლარი, 2018 წ.: 48,061 ლარი), რომელიც უკავშირდება წილობრივი ანაზღაურების ბანკის მასშტაბით დამტკიცებულ სქემას (26-ე შენიშვნა).

ბანკის მიერ დაქირავებული თანამშრომლების საშუალო რაოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრით, 2019 წლის 31 დეკემბრითა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის:

თანამშრომლების საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე:	2020	2019	2018
მუდმივი დასაქმება:			
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	13	13	7
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	49	43	50
სხვა თანამშრომლები	5,697	5,729	5,585
	5,759	**5,785**	**5,642**
დროებითი დასაქმება:			
უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	-
საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა	-	-	-
სხვა თანამშრომლები	24	21	9
	24	**21**	**9**
სულ	**5,783**	**5,806**	**5,651**

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019	2018
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(18,180)	(10,665)	(10,42
მარკეტინგი და რეკლამა	(18,958)	(16,608)	(16,16
საოპერაციო გადასახადები	(11,031)	(8,500)	(5,29
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	(8,810)	(10,795)	(9,84
საოფისე მარაგები	(5,509)	(5,166)	(5,18
კომუნიკაციები	(4,681)	(4,525)	(4,15
ოჯარა და ქირა	(4,014)	(5,888)	(24,797
დაზღვევა	(3,057)	(2,769)	(2,29
მგზავრობის ხარჯი	(3,051)	(3,820)	(1,59
დაცვა-უსაფრთხოება	(2,502)	(1,392)	(2,59
თანამშრომელთა შერჩევა და გადამზადება	(1,694)	(3,195)	(5,92
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	(1,275)	(9,254)	(5,65
სხვა	(1,850)	(2,562)	(2,76
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**(84,612)**	**(85,139)**	**(96,698)**

აუდიტორის გასამრჯელო

აუდიტორის გასამრჯელო შესულია იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯებში ზემოთ და მოიცავს შემდეგს:

	2020	2019	2018
ბანკის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯი	578	521	52
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	491	487	
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	-	-	
სულ გასამრჯელო	**1,069**	**1,008**	**520**

ზედა ცხრილში წარმოდგენილი თანხები ასახავს შპს „იუაისთვის“ და მისი მეკავშირე კომპანიებისთვის გადახდილ გასამრჯელოებს. ბანკისთვის სხვა რომელიმე აუდიტორს არ გაუწევია მარწმუნებელი ან სხვა მომსახურება 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში.

(ათას ლარში)

24. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული წლისთვის:

	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი		შემენისას ან შექმნისას	
	კოლექტიური	კოლექტიური	ინდივიდუალური	კოლექტიური	გაუფასურებულ	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	56	-	-	-	-	5
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(79)	-	-	-	-	(7
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	130	-	-	-	-	1
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	(64,896)	(52,126)	(56,156)	(62,439)	(1,211)	(236,828
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	(8)	-	-	-	-	
სხვა ფინანსური აქტივები	(13,948)	-	-	-	-	(13,94
ფინანსური გარანტიები	(4,086)	(33)	(3,091)	-	-	(7,21
მომხმარებლებზე გაცემული აკრედიტივები	(1,317)	-	(380)	-	-	(1,69
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**(84,148)**	**(52,159)**	**(59,627)**	**(62,439)**	**(1,211)**	**(259,584)**

	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი		შემენისას ან შექმნისას	
	კოლექტიური	კოლექტიური	ინდივიდუალური	კოლექტიური	გაუფასურებულ	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(9)	-	-	-	-	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	244	-	-	-	-	24
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	125	-	-	-	-	1
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	(4,058)	2,813	76,280	(159,859)	(1,146)	(85,97(
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	7	-	-	-	-	
ფინანსური გარანტიები	(396)	(17)	145	138	-	(1
მომხმარებლებზე გაცემული აკრედიტივები	(207)	117	(13)	-	-	(1(
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**(4,294)**	**2,913**	**76,412**	**(159,721)**	**(1,146)**	**(85,836)**

	1-ლი ეტაპი	მე-2 ეტაპი	მე-3 ეტაპი		შემენისას ან შექმნისას	
	კოლექტიური	კოლექტიური	ინდივიდუალური	კოლექტიური	გაუფასურებულ	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(51)	-	-	-	-	(5
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(29)	-	-	-	-	(2
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები	(827)	-	-	-	-	(82
მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით	15,638	4,152	9,119	(170,154)	3,627	(137,61
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	74	-	-	-	-	7
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	-	-	-	-	-	
ფინანსური გარანტიები	(1,836)	18	304	83	-	(1,43
მომხმარებლებზე გაცემული აკრედიტივები	186	15	-	621	-	82
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	**13,155**	**4,185**	**9,423**	**(169,450)**	**3,627**	**(139,060)**

(ათას ლარში)

25. წმინდა არარეგულარული მუხლები

	2020	2019	2018
ფინანსური აქტივების მოდიფიკაციით გამოწვეული ზარალი*	(39,730)	-	
კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ხარჯი**	(1,454)	-	(11,4
შრომითი საქმიანობის შეწყვეტის გასამრჯელო	-	(3,985)	(4,4
ზარალი შვილობილი კომპანიის გაყიდვიდან	-	(2,828)	(3,65
გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯები***	-	-	(34,98
მშობელი კომპანიის სესხის წინსწრებით დაფარვით გამოწვეული ზარალი	-	-	(10,4
სხვა	(107)	(5,466)	(3,85
წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი	**(41,291)**	**(12,279)**	**(68,812)**

** ფინანსური აქტივების მოდიფიკაციის ზარალი: COVID-19-ის პანდემიის პასუხად ბანკმა განახორციელა ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა სამთვიან საშეღავათო პერიოდს თავისი მსესხებლებისთვის, კერძოდ, საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტი გადავადდა ან დარიცხვის წრფივი მეთოდით განაწილდა დაფარვის თავდაპირველ გრაფიკზე სესხის ვადის ამოწურვის თარიღამდე (ანუ არ რთული პროცენტი არ დაწესდა) ან, ზოგ შემთხვევაში, სესხის ვადის ამოწურვის თარიღის შემდეგაც (ანუ სესხის დაფარვის ვადა სამი თვით გაგრძელდა). გადახდისგან დროებითი გათავისუფლების მიზანი იყო მომხმარებელთა ფილიალებში მიმოსვლის შემცირება და ქვეყანაში ვირუსის გავრცელებისთვის ხელის შეშლა. COVID-19-ის პანდემიაზე აღნიშნული სწრაფმა სოციალურმა რეაგირებამ შედეგად გამოიღო 39,730 ლარის მოდიფიკაციის დანაკარგები. იმის გათვალისწინებით, რომ ინიციატივას საფუძვლად ედო მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და მსგავსი იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარჯებისა, თავისი მაღალი ხარისხის ანომალიურობითა და არასტანდარტული ხასიათით, ეს მოდიფიკაციის დანაკარგები წარმოდგენილი იქნა ბანკის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არარეგულარული ხარჯის მუხლში.*

*** 2020 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხარჯი: COVID-19-თან ბრძოლაში დასახმარებლად ბანკმა შეისყიდა და საქართველოს მთავრობას ერთჯერადი შეწირულობის სახით გადასცა ლაბორატორიული ტესტები, რესპირატორული აღჭურვილობა და სხვა. 2018 წელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მოიცავს საქართველოში სოფლად ოპტიკურ-ბოჭკოვანი ფართოდიაპაზონიანი ქსელის ინფრასტრუქტურის მხარდასაჭერ ერთჯერად პროექტს.*

*** გამოყოფასთან დაკავშირებული ხარჯები მოიცავს: თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ხარჯებს 31,913 ლარის ოდენობით, მათ შორის საინვესტიციო საქმიანობის თანამშრომლების წილობრივი ანაზღაურების დაჩქარებას, მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულ 1,663 ლარის გამოყოფის დანახარჯებს და გამოყოფასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს 1,408 ლარის ოდენობით.*

26. წილობრივი გადახდები

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა

2015 წელს ბანკმა ჩამოაყალიბა აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების სატრასტო კომპანია - Sanne Fiduciary Services (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ბანკის „აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში“. ბანკი სატრასტო კომპანიაში შენატანებს ხორციელებს EECP-ის ფარგლებში გასაცემი კომპენსაციების შესაბამისად. სს „ბიჯეოს“ სამართლებრივი ვალდებულება აქვს გასცეს კომპენსაცია. კომპენსაციის გაცემისას ბანკი გამოდის მშობელი კომპანიისა და საბოლოო მშობელი კომპანიის აგენტად.

2019 წელს ბანკმა ჩამოაყალიბა თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების სატრასტო კომპანია - Sanne Fiduciary Services (შემდგომში „სატრასტო კომპანია“) გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად ბანკის „თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში“.

2020 წელს ბანკმა ზემოაღწერილი წილობრივი ანაზღაურების სქემების ფარგლებში 21,057 ლარი გამოჰყო შიდაჯგუფური გადანაწილებისთვის (2019 წ.: 51,302 ლარი, 2018 წ.: 65,420 ლარი).

26. წილობრივი გადახდები (გაგრძელება)

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა (გაგრძელება)

გამოყოფის შემდეგ საქართველოს ბანკის ჯგუფის ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა დირექტორთა საბჭოს წევრების პირობით წილობრივ ანაზღაურებაში ცვლილების შეტანა გამოყოფამდე ბიჯეოს და ლისტინგის შემდეგ საქართველოს ბანკის ჯგუფის აქციების შედარებითი ფასების საფუძველზე.

2020 წლის იანვარში საქართველოს ბანკის ჯგუფის ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 271,460 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ბანკის 49 აღმასრულებელი პირისთვის - საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 315,869 ჩვეულებრივი აქცია. დირექტორთა საბჭოსთვის გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის ორწლიანი და ფლობის ორწლიანი ვადები, ხოლო დანარჩენი 49 აღმასრულებელი პირისთვის გადაცემულ აქციებზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა, და ორივე მათგანის ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად განიხილავს 2020 წლის 31 იანვარს. ბანკის შეფასებით, 2020 წლის 31 იანვარს გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება იყო 56.98 ლარი.

2019 წლის მარტში საქართველოს ბანკის ჯგუფის ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 344,000 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ბანკის 33 აღმასრულებელი პირისთვის - საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 185,670 ჩვეულებრივი აქცია. დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის და დანარჩენი 33 აღმასრულებელი პირისთვის გადაცემულ აქციებზე - სამწლიანი ვადა და, ორივე შემთხვევაში, ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2019 წლის 10 და 20 მარტს. ბანკის შეფასებით, 2019 წლის 10 და 20 მარტს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 56.51 ლარი და 59.04 ლარი ერთ აქციაზე, შესაბამისად.

2018 წლის თებერვალში ბიჯეოს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის გადაეცა საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ 232,548 ჩვეულებრივი აქცია, ხოლო ბანკის 16 აღმასრულებელი პირისთვის - ბიჯეოს 79,050 ჩვეულებრივი აქცია. დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის და დანარჩენი 16 აღმასრულებელი პირისთვის გადაცემულ აქციებზე - სამწლიანი ვადა და, ორივე შემთხვევაში, ერთადერთი პირობა ამ ხნის განმავლობაში უწყვეტი დასაქმებაა. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2018 წლის 14 თებერვალს. ბანკის შეფასებით, 2018 წლის 14 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 114.56 ლარი ერთ აქციაზე.

2020 წელს დირექტორთა საბჭოს ახალმა წევრებმა და ერთმა აღმასრულებელმა პირმა ხელი მოაწერეს წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის ახალ ფიქსირებულ პირობით სამწლიან ხელშეკრულებებს სულ საქართველოს ბანკის ჯგუფის 120,000 და 30,000 ჩვეულებრივ აქციაზე. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ თანაბარ ნაწილად სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის სამწლიან პერიოდს. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2020 წლის 3 ივნისსა და 2020 წლის 29 დეკემბერს. ბანკის შეფასებით, 2020 წლის 3 ივნისსა და 2020 წლის 29 დეკემბერს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 39.91 ლარს და 54.61 ლარს.

2020 წელს დირექტორთა საბჭოს არსებული წევრების წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის ხელშეკრულებები შეიცვალა და ცვლილების შედეგმა შეადგინა „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ 33,333 ჩვეულებრივი აქცია. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღად მიიჩნევს 2020 წლის 23 დეკემბერს. ბანკის შეფასებით, გადაცემული თითო აქციის სამართლიანი ღირებულება 2020 წლის 23 დეკემბერს იყო 53.48 ლარი.

26. წილობრივი გადახდები (გაგრძელება)

აღმასრულებელი პირების წილობრივი ანაზღაურების პროგრამა და თანამშრომელთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამა (გაგრძელება)

2019 წელს დირექტორთა საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამ და ხუთწლიან ხელშეკრულებებს ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე სულ საქართველოს ბანკის ჯგუფის 915,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ და ხუთ თანაბარ ნაწილად სამი და ხუთი თანმიმდევრული წლის განმავლობაში. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან პერიოდს. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად მიიჩნევს 2019 წლის 9 იანვარს, 2019 წლის 1 მაისს და 2019 წლის 3 მაისს. ბანკის შეფასებით, 2019 წლის 9 იანვარს, 2019 წლის 1 მაისს და 2019 წლის 3 მაისს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 52.04 ლარს, 60.57 ლარს და 60.14 ლარს.

2018 წელს დირექტორთა საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ხელშეკრულებას ფიქსირებული პირობითი წილობრივი ანაზღაურების თაობაზე ჯამში საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯე ჯგუფის“ 82,000 ჩვეულებრივი აქციით და საქართველოს ბანკის ჯგუფის 115,000 ჩვეულებრივი აქციით. თითოეული აღმასრულებელი პირისთვის განკუთვნილი აქციების მთლიანი რაოდენობა გაიცემა სამ თანაბარ ნაწილად სამი თანმიმდევრული წლის განმავლობაში 2019 წლის იანვრიდან. აქედან თითოეული განაცემი დაექვემდებარება უფლების გადაცემის ოთხწლიან პერიოდს. ბანკი წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად მიიჩნევს 2018 წლის 16 თებერვალს, 2018 წლის 23 მარტს და 2018 წლის 10 ივლისს. ბანკის შეფასებით, 2018 წლის 16 თებერვალს, 2018 წლის 23 მარტს და 2018 წლის 10 ივლისს აქციების სამართლიანი ღირებულება, შესაბამისად, შეადგენდა 115.03 ლარს, 122.23 ლარს და 60.47 ლარს.

ბანკი თავის არააღმასრულებელ თანამშრომლებს კომპენსაციის სახით აქციებს გადასცემს. 2020 წლის იანვარში, 2019 წლის მარტში და 2018 წლის თებერვალში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა, შესაბამისად, 231,914, 256,436 და 158,960 ჩვეულებრივი აქციის გადაცემა თავისი ზოგიერთი არააღმასრულებელი თანამშრომლისთვის. ყველა გადაცემულ აქციაზე მოქმედებს უფლების გადაცემის სამწლიანი ვადა და უფლების გადაცემის ერთადერთი პირობა უწყვეტი დასაქმებაა. ბანკი ამ წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღებად, შესაბამისი თანმიმდევრობით, მიიჩნევს 2020 წლის 31 იანვარს, 2019 წლის 10 მარტს და 2018 წლის 14 თებერვალს. ბანკის შეფასებით, გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 56.98 ლარი, 56.51 ლარი და 114.56 ლარი ერთ აქციაზე, შესაბამისად.

შეჯამება

შეფასების თარიღისთვის გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ბაზარზე არსებული ფასებით.

გადაცემული აქციების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის იყო 55.89 ლარი ერთ აქციაზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს (2019 წლის 31 დეკემბერი: 56.92 ლარი ერთ აქციაზე; 2018 წლის 31 დეკემბერი: 106.38 ლარი ერთ აქციაზე).

ბანკის მთლიანი წილობრივი გადახდის ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 54,200 ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 61,114 ლარი; 2018 წლის 31 დეკემბერი: 82,483 ლარი) და შევიდა „ხელფასებსა და თანამშრომელთა სხვა სარგებელში“, როგორც „ხელფასები და ბონუსები“. ქვემოთ შეჯამებულია ინფორმაცია წილობრივი გადახდების შესახებ:

	2020	*2019*	*2018*
სულ გაცემული წილობრივი ინსტრუმენტის მთლიანი რაოდენობა	1,002,576	1,701,106	667,5
- მათ შორის, დირექტორთა საბჭოსთვის	*424,793*	*1,259,000*	*429,54*
საშუალო შეწონილი ღირებულება უფლებების მინიჭების თარიღისთვის ერთ აქციაზე (ლარში, მთლიანი ოდენობით)	55.89	56.92	10(
ღირებულება წილობრივი უფლებების მინიჭების თარიღისთვის, სულ (ლარი)	**56,031**	**96,832**	**71,012**
სულ წლის განმავლობაში აღიარებული ხარჯი (ლარი)	**(54,200)**	**(61,114)**	**(82,483)**

** 2019 წლის განმავლობაში აღიარებული ხარჯი მოიცავს 3,985 ლარის არარეგულარულ ხარჯს. 2018 წლის განმავლობაშია აღიარებული ხარჯი მოიცავს 34,422 ლარის არარეგულარულ ხარჯს.*

27. რისკის მართვა

შესავალი

ბანკის საქმიანობას ყოველთვის ახასიათებს რისკები, მაგრამ მათი მართვა ხდება იდენტიფიცირების, შეფასებისა და კონტროლის მუდმივი პროცესებით, როგორიც არის ლიმიტების დაწესება და კონტროლის სხვა ელემენტები. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის და ბანკში თითოეული პირი არის ანგარიშვალდებული თავის მოვალეობებთან დაკავშირებულ რისკებზე. ბანკს აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი თავის მხრივ იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. ისინი კონტროლდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესით.

რისკის მართვის სტრუქტურა

2019 წელს ბანკმა დაიწყო რისკის მართვის ახალი სქემის და რისკის დასაშვები დონის სქემის პოლიტიკების დანერგვა, რომლებიც ეყრდნობა საწარმოს რისკის მართვის სამ თავდაცვით მოდელს და ასახავს სებ-ის მიერ შემოღებულ კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებს. ახალი სქემა და პოლიტიკა სრულად განხორციელდა 2020 წლის ბოლოსთვის. დაცვის სამი მოდელი ხელს უწყობს რისკის მართვის გააზრებას და კონტროლს ბანკის რისკის მართვის სხვადასხვა ორგანოსა და განყოფილების ფუნქცია-მოვალეობების განმარტებით, რათა გაიზარდოს რისკის ეფექტური მართვა და კონტროლი.

<u>სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მომუშავე კომიტეტები:</u>

<u>აუდიტისა და კორპორაციული მართვის კომიტეტი</u>
აუდიტის კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის ფინანსური და ანგარიშგების პროცესების ზედამხედველობაში. იგი აკონტროლებს ფინანსური ანგარიშგების სისრულეს და პასუხს აგებს მართვის ფუნქციაზე როგორც შიდა აუდიტის, ისე გარე აუდიტორის წინაშე, რის შესახებაც ანგარიშებს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს. ამოწმებს საოპერაციო რისკების, შესაბამისობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და შიდა უსაფრთხოების (კიბერუსაფრთხოების ჩათვლით) და სხვა დანერგილი პოლიტიკის, პროცედურების და სისტემების გამართულობას და მჭიდროდ თანამშრომლობს რისკის კომიტეტთან რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობის შესაფასებლად.

<u>რისკის კომიტეტი</u>
რისკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება რისკის ზედამხედველობაში. იგი ამოწმებს ბანკის ამტანობას რისკების მიმართ სტრატეგიის შესაბამისად, განსაზღვრავს და აკონტროლებს რისკის მოცულობას და რისკის მართვის ინფრასტრუქტურას, ზედამხედველობს რისკის შემცირების სტრატეგიის განხორციელებას და აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს რისკის მართვის და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობას.

<u>სპეციალური კომიტეტი</u>
სპეციალური კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება გაყოფის შემდგომი პროცესების ზედამხედველობაში, მათ შორის ბანკსა და საჯარო სააქციო საზოგადოება „ჯორჯია კაპიტალის ჯგუფის“ (საჯარო სააქციო საზოგადოება „ბიჯეო ჯგუფის“ ყოფილი საინვესტიციო მიმართულება) ჯგუფის კომპანიებს შორის გარკვეული ოპერაციების მიმოხილვასა და დამტკიცებაში.

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკის მართვის სტრუქტურა (გაგრძელება)

რისკის მართვის სხვა ორგანოები:

დირექტორთა საბჭო
დირექტორთა საბჭო პასუხს აგებს ბანკის აქტივების, ვალდებულებების და რისკის მართვაზე, პოლიტიკასა და პროცედურებზე. რისკის მართვის სისტემის ეფექტურად დანერგვის მიზნით, დირექტორთა საბჭო ცალკეული რისკის მართვის ფუნქციის დელეგირებას ახდენს ბანკის სხვადასხვა გადაწყვეტილების მიმღებ და აღმასრულებელ ორგანოზე.

ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი
ბანკის აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი („ალკო“) არის რისკის მართვის უმთავრესი ორგანო, რომელიც ადგენს პოლიტიკასა და სახელმძღვანელოებს კაპიტალის ადეკვატურობის, საბაზრო რისკების და შესაბამისი ლიმიტების, დაფინანსების ლიკვიდურობის რისკის და შესაბამისი ლიმიტების, საპროცენტო განაკვეთის და წინასწარ გადახდის რისკების და შესაბამისი ლიმიტების, ფულადი ბაზრების ზოგადი პირობების და საკრედიტო რისკის ლიმიტების შესახებ, შეიმუშავებს და პრაქტიკაში განახორციელებს რისკის მართვის და სტრესული ტესტირების მოდელებს და რეგულარულად აკონტროლებს რისკების წინასწარ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობას.

შიდა აუდიტი
შიდა აუდიტის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ბანკის რისკის მართვის, შიდა კონტროლის და კორპორაციული მართვის პროცესების ყოველწლიურ აუდიტზე, რომლის მიზანიც არის საოპერაციო და სხვა რისკების დონეების დაწევა, ბანკის შიდა კონტროლის სისტემების აუდიტზე და ბანკის სხვადასხვა დეპარტამენტისა და სამმართველოს დარღვევების ან შეცდომების გამოვლენაზე. იგი ამოწმებს ბანკის ადეკვატურობას და შესაბამისობას ამ პროცესებთან. ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან და აუდიტის კომიტეტს შედეგებსა და რეკომენდაციებს მოახსენებს.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

ბანკის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს წარსულში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. ბანკი სამ სხვადასხვა ძირითად სცენარს განიხილავს, საიდანაც ერთი არის საბაზო სცენარი (ანუ პროგნოზი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში), ხოლო დანარჩენი ორი არის პრობლემური და კრიზისული სცენარები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ უფრო ცუდ და ყველაზე ცუდ შემთხვევებს და უკიდურესი და ნაკლებად სავარაუდო მოვლენების დადგომისას არის მოსალოდნელი.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე. გარდა ამისა, ბანკი მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკისადმი ზოგად მდგრადობას რისკის ყველა ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით.

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა (გაგრძელება)

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნესგანყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ საკრედიტო რისკებს და მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში. წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მართებულობას. დირექტორთა საბჭო იღებს საკრედიტო რისკის ამომწურავ ანგარიშს და აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის ანგარიშს. ამ ანგარიშებში ბანკის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

რისკების შესახებ სპეციალურად მომზადებული ანგარიშები მზადდება და ვრცელდება ბანკის ყველა დონეზე, რათა ყველა განყოფილებას ჰქონდეს წვდომა ამომწურავ, სათანადო და განახლებულ ინფორმაციაზე.

დირექტორთა საბჭოს და ბანკის ყველა შესაბამის თანამშრომელს უტარდება ყოველდღიური ბრიფინგი საბაზრო შეზღუდვების, ქონებრივი ინვესტიციებისა და ლიკვიდურობის, ასევე სხვა რისკის წარმოშობის შესახებ.

რისკის შემცირება

მთლიანი რისკის მართვისას ბანკი იყენებს წარმოებულ და სხვა ინსტრუმენტებს, რომ მართოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით გამოწვეული, სავალუტო, კაპიტალის, საკრედიტო რისკები და პროგნოზირებული გარიგებებიდან წარმოშობილი რისკები. მართალია, ამ ინსტრუმენტების მიზანი ჰეჯირებაა, ჰეჯირების აღრიცხვა მათ არ ეხება.

საკრედიტო რისკის შესამცირებლად ბანკი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ).

რისკის ჭარბი კონცენტრაცია

კონცენტრაცია წარმოიქმნება, როდესაც მთელი რიგი მონაწილე მხარეები ჩართულნი არიან ანალოგიურ საქმიანობებში, ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ერთეულში საქმიანობენ, ან ეს კონტრაჰენტები წარმოადგენენ ერთმანეთთან დაკავშირებულ მხარეებს, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მახასიათებლები, რის გამოც მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე ერთნაირად მოქმედებს ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პირობების ცვლილებები. კონცენტრაციები ასევე გულისხმობს მნიშვნელოვანი და მსხვილი კრედიტების გაერთიანებულ, აგრეგირებულ რისკებს შესაბამისი ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან დაუფარავ ნაშთთან შედარებით. კონცენტრაცია მიგვანიშნებს ბანკის საქმიანობის მეტ მგრძნობელობაზე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ კონკრეტულ დარგზე ან გეოგრაფიულ მდებარეობაზე.

რისკების გადაჭარბებული კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით ბანკის პოლიტიკა და პროცედურები შეიცავს სპეციალურ მითითებებს ფინანსური აქტივების დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებაზე. გამოვლენის შემდეგ საკრედიტო რისკების ან ლიკვიდურობის/გადაუხდელობის რისკების კონცენტრაცია შესაბამისად იმართება.

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი განიცდის ზარალს, თუ მისმა მომხმარებლებმა ვერ შეძლეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. ბანკი საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაჰენტისთვის, ასევე გეოგრაფიული, დარგობრივი, პროდუქტებისა და ვალუტების მიხედვით კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით.

ბანკმა შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რათა უზრუნველყოს გარიგებაში მონაწილე მხარეების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. მათ შორისაა უზრუნველყოფის რეგულარული შემოწმებაც. გარიგებაში მონაწილე მხარის შეზღუდვები დგინდება საკრედიტო რისკის კლასიფიკაციის სისტემის გამოყენებით, რომელიც თითოეულ მონაწილე მხარეს ანიჭებს რისკის რეიტინგს. რისკის რეიტინგი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებებს.

საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი ბანკს საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები. მაქსიმალური საკრედიტო რისკის ლიმიტი უტოლდება შესაბამისი ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებას და წარმოდგენილი გარანტიების და თავდებობების პირობით თანხებს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის ლიმიტი ყოველთვის უტოლდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ, დადებითი სამართლიანი ღირებულების მქონე წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების რისკი

ბანკი თავის მომხმარებლებს სთავაზობს გარანტიებს და აკრედიტივებს, რომელთა მიხედვითაც ბანკს შესაძლოა მოუწიოს მათი სახელით გადახდა. ასეთი თანხების ამოღება მომხმარებლებისგან ხდება გარანტიისა და აკრედიტივის პირობების მიხედვით. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხის გაცემის ანალოგიური რისკების წინაშე, ამ რისკების შემცირება ხდება სესხებზე გამოყენებული პოლიტიკისა და კონტროლის პროცესების შესაბამისად.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ბანკი ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხს მართავს საკრედიტო რეიტინგების შიდა და გარე სისტემით, რომლითაც გამოითვლება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

27. რისკის მართვა (გაგრძელება)

COVID-19-ის პანდემიის გავლენის რისკი

COVID-19 გლობალურ პანდემიად 2020 წლის დასაწყისში გამოცხადდა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. პანდემიას მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ახლავს. უაღრესად რთულია პანდემიის მოქმედების, ეფექტური მკურნალობის არსებობის, ეკონომიკურ სექტორზე მისი გავლენის პროგნოზირება. შესაბამისად, მომსახურების სფეროს ეკონომიკური საქმიანობა უახლოეს მომავალში კვლავაც დაზარალდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური ვაქცინის მოსალოდნელზე სწრაფი შექმნა და გავრცელება იმედს იძლევა, ტურიზმის და ინვესტიციების განახლებას უწყობს ხელს და აჩქარებს ეკონომიკის აღმავლობას.

2020 წლის მარტის ბოლოს სებ-მა წარმოადგინა საქართველოს საბანკო სექტორის ზედამხედველობის განახლებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ფინანსური და ეკონომიკური შედეგების შემსუბუქებას. ზომები, რომლებიც დაუყოვნებლივ შედის ძალაში, ძირითადად კონცენტრირებულია კაპიტალის ადეკვატურობასთან და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ ინიციატივებზე, რომლებიც ბანკებს საშუალებას მისცემს, გამოიყენონ არსებული საზედამხედველო კაპიტალის ბუფერები მომხმარებელთა მხარდასაჭერად ფინანსურად სტრესულ გარემოებებში და შეძლებისდაგვარად გააგრძელონ ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობა და გაამყარონ ეკონომიკა უწყვეტი საკრედიტო ოპერაციებით.

ბანკმა დანერგა მთელი რიგი მდგრადობის პროტოკოლები და ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელთა მიზანიც არის COVID-19-ის გავრცელების შეჩერება საქართველოში და ბიზნესსა და საზოგადოებაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შესუსტება.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაფინანსების მობილიზაციით და ანტიკრიზისული სტიმულირების გეგმის მეშვეობით, მთავრობამ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის გამოაცხადა მხარდაჭერის ზომები და პაკეტები, რომელთა მიზანიც ეკონომიკაზე COVID-19-ის უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა იყო.

ბანკი ახდენს COVID-19-ის პანდემიის ფონზე ეკონომიკური ტენდენციების განვითარებისა და ბიზნესებზე, მომხმარებლებსა და თანამშრომლებზე მათი გავლენის მუდმივ მონიტორინგს. პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისი მასშტაბს ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გაურკვევლობა ახლავს და ბანკი გააგრძელებს სათანადო ზომების მიღებას, რათა პროაქტიულად მართოს ცვალებადი გარემოებები.

ახალი რისკები

ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი.

ბანკმა კლიმატის რისკი ახალ რისკად განსაზღვრა. ბანკი აპირებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების ინტეგრირებას საკრედიტო რისკის მოდელსა და ბიზნესის მდგრადობის შეფასებებში. 2021 წელს ბანკი კლიმატთან დაკავშირებულ რისკებს აღწერს და მართავს „კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების სპეციალური ჯგუფის“ რეკომენდაციების შესაბამისად.

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ბანკმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით, გარდა ნაღდი ფულისა და მოკლევადიანი ანაბრებისა, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

2020 წლის 31 დეკემბერს	*1-ლი დონე*	*მე-2 დონე*	*მე-3 დონე*	*სულ*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება, სულ	-	-	219,005	219,00
მიწა	-	-	*10,981*	*10,98*
საცხოვრებელი შენობები	-	-	*146,112*	*146,11*
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	*61,912*	*61,91*
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,229	2,415,676	108	2,419,0
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	-	10,270	-	10,2
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	1,986,555	-	1,986,55
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	12,911,712	12,911,7
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	231,888	-	231,88
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	13,483,208	-	13,483,20
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	2,655,217	175,489	2,830,70
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,404,266	106,850	1,511,
საიჯარო ვალდებულებები	-	-	97,189	97,18

2019 წლის 31 დეკემბერს	*1-ლი დონე*	*მე-2 დონე*	*მე-3 დონე*	*სულ*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება, სულ	-	-	204,885	204,88
მიწა	-	-	*56,909*	*56,909*
საცხოვრებელი შენობები	-	-	*75,328*	*75,328*
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	*72,648*	*72,648*
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,316	1,676,739	395	1,679,45
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	-	31,920	-	31,92
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	1,600,387	-	1,600,38
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	11,165,686	11,165,68
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	10,748	-	10,74
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	9,532,366	-	9,532,36
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	3,341,563	137,806	3,479,36
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,782,277	274,098	2,056,37
საიჯარო ვალდებულებები	-	-	89,406	89,40

(ათას ლარში)

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბერს	*1-ლი დონე*	*მე-2 დონე*	*მე-3 დონე*	*სულ*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება, სულ	-	-	*132,327*	132,32
მიწა	-	-	*15,094*	*15,094*
საცხოვრებელი შენობები	-	-	*75,171*	*75,17*
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	*42,062*	*42,062*
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	1,864,423	395	1,864,8
სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები	-	31,084	-	31,08
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	1,282,764	-	1,282,76
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	-	8,678,666	8,678,66
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	11,569	-	11,5
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზე განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	-	7,807,863	-	7,807,86
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	-	2,506,659	52,618	2,559,27
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	1,374,229	285,008	1,659,23

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. ბანკმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, მისი აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს, სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს და ოფციონის კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელებს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება და ასევე სტანდარტული ოფციონის ფასწარმოქმნის მოდელები. მოდელები შეიცავს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს კონტრაჰენტების საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსის, საპროცენტო განაკვეთის მრუდის და ნაგულისხმევი მერყეობის ჩათვლით.

სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ნაწილი კოტირებული წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდებია. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასწარმოქმნის მოდელით, შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სასესხო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. არადაკვირვებადი მონაცემი მოიცავს ვარაუდს ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური საქმიანობის და მისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ, ასევე მოიცავს ეკონომიკურ ვარაუდს მრეწველობის და გეოგრაფიული იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ფუნქციონირებს ინვესტიციის ობიექტი.

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მე-3 დონის ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობა

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მე-3 დონის ფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო თანხების შეჯერება:

	2017 წლის 31 დეკემბერს	*ფასიანი ქაღალდების შეძენა*	*2018 წლის 31 დეკემბერს*	*2019 წლის 31 დეკემბერს*	*საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა*	*2020 წლის 31 დეკემბერს*
მე-3 დონის ფინანსური აქტივები						
წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		201	194	395	395	(287)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მესამე დონის არაფინანსური აქტივების მოძრაობა

ყველა საინვესტიციო ქონება მესამე დონეს მიეკუთვნება. მათი საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერება წარმოდგენილია მე-11 შენიშვნაში.

მე-3 დონის ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე გავლენა, რომლებიც ძირითადი დაშვებების ცვლილებების სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს მე-3 დონის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე გავლენას გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებების გამოყენებით:

	საბალანსო ღირებულება	*გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებების გავლენა*	*საბალანსო ღირებულება*	*გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებების გავლენა*	*საბალანსო ღირებულება*	*გონივრული შესაძლო ალტერნატიული დაშვებების გავლენა*
	2020		*2019*		*2018*	
მე-3 დონის ფინანსური აქტივები						
წილობრივი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	108	+/- 16	395	+/- 59	395	+/- 59

იმისთვის, რომ განესაზღვრა გონივრულად შესაძლო ალტერნატიული ვარაუდები, ბანკმა განახორციელა მოდელის არადაკვირვებადი მთავარი ინფორმაციის კორექტირება შემდეგნაირად:

კაპიტალისათვის ბანკმა საბალანსო ღირებულებაზე მაღალი ფასის ჯერადი დააკორექტირა მისი 10%-ით გაზრდით ან შემცირებით, რომელიც, ბანკის აზრით, ექცევა რეალურად დასაშვები ალტერნატივების ფარგლებში. ბანკის მოსაზრება ეყრდნობა საბალანსო ღირებულებაზე მაღალი ფასის ჯერადებს, რომლებსაც იყენებენ ანალოგიური კომპანიები საქმიანობის იმავე სფეროსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში.

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების შეფასებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მნიშვნელოვანი არასაბაზრო მონაცემების აღწერა, რომლებიც გამოყენებულია საინვესტიციო ქონების მესამე დონის შეფასებებისთვის:

	2020	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი არაერთმანიშნული შემავალი მონაცემები	მინ.	მაქს.	საშუალო შეწონილი	სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია	მინ.	მაქს.	საშუალო შეწონილი
საინვესტიციო ქონება	**219,005**									
მიწის ნაკვეთი	10,981	საბაზრო მეთოდი	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	0.001	2.639	0.742	კვადრატული მეტრი, მიწის ნაკვეთი	32	360,001	8,162
საცხოვრებელი ქონება	146,112	საბაზრო მეთოდი	ერთი კვადრატული მეტრის ფასი	0.062	3.252	0.983	კვადრატული მეტრი, შენობა-ნაგებობები	15	782	186
არასაცხოვრებელი ქონება	61,912									
	53,738	საბაზრო მეთოდი	ფასი	34.582	2,190.655	885.635	კვადრატული მეტრი, მიწის ნაკვეთი	70	40,000	3,306
							კვადრატული მეტრი, შენობა-ნაგებობები	30	7,059	1,543
	7,658	შემოსავლის მეთოდი	იჯარის ფასი, ერთ კვადრატულ მეტრზე	0.004	0.051	0.018	კვადრატული მეტრი, შენობა-ნაგებობები	103	2,021	685
			დატვირთულობის მაჩვენებელი	50%	85%	77%				
			მიწის ნაკვეთის ფასი, ერთ კვადრატულ მეტრზე	0.638	1.379	1.051	კვადრატული მეტრი, მიწის ნაკვეთი	209	357	274
	516	ხარჯების მეთოდი	ამორტიზებული ჩანაცვლების ხარჯი, ერთ კვადრატულ მეტრზე	0.763	0.901	0.840	კვადრატული მეტრი, შენობა-ნაგებობები	298	320	310

** ამ ცხრილში წარმოდგენილი არადაკვირვებადი მონაცემების ფასი, განაკვეთი და ღირებულება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.*

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის მიმოხილვა, ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი ანაბრების გარდა.

	2020 წლის 31 დეკემბერს		
	ამორტიზებული ღირებულება	*სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით*	*სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით*
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,986,555	-	
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	13,200,987	-	
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	1,186	-	
წილობრივი ინსტრუმენტები	-	3,337	
სასესხო ინსტრუმენტები	-	2,415,676	
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები	-	-	1,[illegible]
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	8,[illegible]
სულ	**15,188,728**	**2,419,013**	**10,270**
ფინანსური ვალდებულებები			
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	13,496,478	-	
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,830,706	-	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,450,598	-	
საიჯარო ვალდებულებები	89,812	-	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (სხვა ვალდებულებებში)	41,762	-	
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები	-	-	1,[illegible]
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	230,7[illegible]
სულ	**17,909,356**	**-**	**231,888**

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)

	2019 წლის 31 დეკემბერს			2018 წლის 31 დეკემბერს		
	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით	ამორტიზებული ღირებულება	სამართლიანი ღირებულება, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	სამართლიანი ღირებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
ფინანსური აქტივები						
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,600,387	-	-	1,282,764	-	
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11,063,789	-	-	8,722,944	-	
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	1,031	-	-	18,780	-	
წილობრივი ინსტრუმენტები	-	2,711	-	-	395	
სასესხო ინსტრუმენტები	-	1,676,739	-	-	1,864,423	
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები	-	-	2,566	-	-	12,(
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	29,354	-	-	18,4
სულ	**12,665,207**	**1,679,450**	**31,920**	**10,024,488**	**1,864,818**	**31,084**
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	9,537,203	-	-	7,811,761	-	
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3,479,369	-	-	2,559,277	-	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,998,803	-	-	1,635,929	-	
საიჯარო ვალდებულებები	88,535	-	-	-	-	
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება (სხვა ვალდებულებებში)	38,804	-	-	19,410	-	
საპროცენტო განაკვეთის კონტრაქტები	-	-	1,914	-	-	6,3
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	-	-	8,834	-	-	5,2
სულ	**15,142,714**	**-**	**10,748**	**12,026,377**	**-**	**11,569**

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის ასახული

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცხრილში არ არის ნაჩვენები არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, სხვა უფრო მცირე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, ან ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც არსებითად უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს.

	საბალანსო ღირებულება 2020	სამართლიანი ღირებულება 2020	არაღიარებული მოგება/ (ზარალი) 2020
ფინანსური აქტივები			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,986,555	1,986,555	
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	13,200,987	12,911,712	(289,27
ფინანსური ვალდებულებები			
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	13,496,478	13,483,208	13,
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,830,706	2,830,706	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,450,598	1,511,116	(60,5
საიჯარო ვალდებულებები	89,812	97,189	(7,3
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			**(343,900)**

	საბალანსო ღირებულება 2019	სამართლიანი ღირებულება 2019	არაღიარებული მოგება/ (ზარალი) 2019	საბალანსო ღირებულება 2018	სამართლიანი ღირებულება 2018	არაღიარებული მოგება/ (ზარალი) 2018
ფინანსური აქტივები						
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,600,387	1,600,387	-	1,282,764	1,282,764	
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	11,063,789	11,165,686	101,897	8,722,944	8,678,666	(44,27
ფინანსური ვალდებულებები						
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	9,537,203	9,532,366	4,837	7,811,761	7,807,863	3,8
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3,479,369	3,479,369	-	2,559,277	2,559,277	
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	1,998,803	2,056,375	(57,572)	1,635,929	1,659,237	(23,30
საიჯარო ვალდებულებები	88,535	89,406	(871)	-	-	
სამართლიანი ღირებულების მთლიანი აუღიარებელი ცვლილება			**48,291**			**(63,688)**

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

28. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს, განსაზღვრული ვადის არმქონე შემნახველ ანგარიშებს და ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე დეპოზიტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის. ერთ წლამდე ვადის მქონე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, დაშვებულია, რომ მათი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი მათი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით, გარდა მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო ბარათებისა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. ბანკის საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებისათვის იხილეთ 27-ე შენიშვნა - „რისკის მართვა“.

	2020 წლის 31 დეკემბერს							
	მოთხოვნამდე	*3 თვემდე*	*6 თვემდე*	*1 წლამდე*	*3 წლამდე*	*5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,309,660	518,576	-	-	-	-	-	1,828,23
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,986,555	-	-	-	-	-	-	1,986,55
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	307,194	2,091,667	5,027	889	8,799	3,079	2,358	2,419,0
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	2,526,630	765,369	1,440,642	3,327,029	1,883,402	3,257,915	13,200,98
სულ	**3,603,409**	**5,136,873**	**770,396**	**1,441,531**	**3,335,828**	**1,886,481**	**3,260,273**	**19,434,791**
ფინანსური ვალდებულებები								
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	2,083,695	3,515,473	1,077,347	5,299,307	918,471	343,453	258,732	13,496,47
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	196,892	730,227	157,096	419,373	490,488	496,216	340,414	2,830,70
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	43,171	17,258	45,341	1,111,923	45,499	187,406	1,450,59
საიჯარო ვალდებულებები	-	5,611	5,650	10,725	32,204	21,938	13,684	89,8
სულ	**2,280,587**	**4,294,482**	**1,257,351**	**5,774,746**	**2,553,086**	**907,106**	**800,236**	**17,867,594**
წმინდა	**1,322,822**	**842,391**	**(486,955)**	**(4,333,215)**	**782,742**	**979,375**	**2,460,037**	**1,567,197**
აკუმულირებული გეპი	**1,322,822**	**2,165,213**	**1,678,258**	**(2,654,957)**	**(1,872,215)**	**(892,840)**	**1,567,197**	

	2019 წლის 31 დეკემბერს							
	მოთხოვნამდე	*3 თვემდე*	*6 თვემდე*	*1 წლამდე*	*3 წლამდე*	*5 წლამდე*	*5 წელზე მეტი*	*სულ*
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,383,326	550,320	-	-	-	-	-	1,933,64
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,569,954	30,433	-	-	-	-	-	1,600,38
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	299,163	1,220,311	4,584	464	46,849	105,190	2,889	1,679,45
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	1,539,973	715,242	1,489,690	3,104,969	1,600,616	2,613,299	11,063,78
სულ	**3,252,443**	**3,341,037**	**719,826**	**1,490,154**	**3,151,818**	**1,705,806**	**2,616,188**	**16,277,272**
ფინანსური ვალდებულებები								
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	2,014,598	1,610,177	770,127	4,293,858	716,718	84,975	46,750	9,537,20
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	264,122	1,698,024	97,838	267,486	423,000	383,386	345,513	3,479,36
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	43,778	627,132	42,801	244,973	876,535	163,584	1,998,80
საიჯარო ვალდებულებები	-	5,350	5,175	9,588	31,502	20,096	16,824	88,53
სულ	**2,278,720**	**3,357,329**	**1,500,272**	**4,613,733**	**1,416,193**	**1,364,992**	**572,671**	**15,103,910**
წმინდა	**973,723**	**(16,292)**	**(780,446)**	**(3,123,579)**	**1,735,625**	**340,814**	**2,043,517**	**1,173,362**
აკუმულირებული გეპი	**973,723**	**957,431**	**176,985**	**(2,946,594)**	**(1,210,969)**	**(870,155)**	**1,173,362**	

(ათას ლარში)

29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

	2018 წლის 31 დეკემბერს							
	მოთხოვნამდე	3 თვემდე	6 თვემდე	1 წლამდე	3 წლამდე	5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	941,876	167,512	-	-	-	-	-	1,109,38
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,239,365	43,399	-	-	-	-	-	1,282,76
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	751,039	923,354	921	31,514	105,577	35,115	17,298	1,864,81
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	-	1,308,857	582,496	1,338,471	2,324,234	1,266,830	1,902,056	8,722,944
სულ	**2,932,280**	**2,443,122**	**583,417**	**1,369,985**	**2,429,811**	**1,301,945**	**1,919,354**	**12,979,914**
ფინანსური ვალდებულებები								
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	1,500,440	1,407,397	643,427	3,555,472	613,952	52,520	38,553	7,811,7
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	118,923	1,227,965	62,069	129,616	453,928	405,273	161,503	2,559,27
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	26,569	159,165	171,540	525,053	753,602	-	1,635,92
სულ	**1,619,363**	**2,661,931**	**864,661**	**3,856,628**	**1,592,933**	**1,211,395**	**200,056**	**12,006,967**
წმინდა	**1,312,917**	**(218,809)**	**(281,244)**	**(2,486,643)**	**836,878**	**90,550**	**1,719,298**	**972,947**
აკუმულირებული გეპი	**1,312,917**	**1,094,108**	**812,864**	**(1,673,779)**	**(836,901)**	**(746,351)**	**972,947**	

ბანკის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური აქტივების რეალიზაციაზე. საქართველოს ბაზარზე, სადაც ბანკის საქმიანობის დიდი ნაწილია თავმოყრილი, ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ მათი დაფარვის თარიღისთვის ამ სესხების ვადა გაგრძელდება. ამდენად, აქტივების ვადიანობა, რომელიც ზემოთ არის მოცემული, შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ვადიანობისგან. მიმდინარე ანგარიშების ისტორიული სტაბილურობის ასახვის მიზნით ბანკი გამოითვლის მიმდინარე ანგარიშების მინიმალურ ყოველდღიურ ნაშთს ბოლო ორი წლის განმავლობაში და ამ თანხას ზემოთ მოყვანილ ცხრილში ასახავს „ერთ წლამდე“ კატეგორიაში. დანარჩენი მიმდინარე ანგარიშები შესულია „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში. სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი ნასესხები სახსრების გადაფარვის შესაბამისობაში მოსაყვანად მის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებთან, ეს ფასიანი ქაღალდები შევიდა „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში. იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო ბარათებს არ აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვადები, ზემოაღნიშნული განაწილება კატეგორიებად ხდება დაფარვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

ბანკის ლიკვიდურობის მთავარი წყაროებია:

- ანაბრები;
- საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები;
- ბანკთაშორისი სადეპოზიტო ხელშეკრულებები;
- გაცემული სესხები;
- შემოსავალი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან;
- სესხის ძირითადი თანხის დაფარვები;
- საპროცენტო შემოსავალი; და
- მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების ანაბრები და თამასუქები შეადგენდა 13,496,478 ლარს (2019 წ.: 9,537,203 ლარი, 2018 წ.: 7,811,761 ლარი) და წარმოადგენდა ბანკის მთლიანი ვალდებულებების 74%-ს (2019 წ.: 62%, 2018 წ.: 64%). ეს სტაბილური და დივერსიფიცირებული თანხები კვლავაც ბანკის დაფინანსების უმთავრესი წყაროა. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საკრედიტო დაწესებულებების წინაშე დავალიანება შეადგენდა 2,830,706 ლარს (2019 წ.: 3,479,369 ლარი, 2018 წ.: 2,559,277 ლარი), რაც მთლიანი ვალდებულებების 15%-ია (2019 წ.: 23%, 2018 წ.: 21%). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები შეადგენდა 1,450,598 ლარს (2019 წ.: 1,998,803 ლარი, 2018 წ.: 1,635,929 ლარი) და წარმოადგენდა მთლიანი ვალდებულებების 8%-ს (2019 წ.: 13%, 2018 წ.: 13%).

დირექტორთა საბჭოს აზრით, ბანკს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

(ათას ლარში)

29. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

ცხრილში წარმოდგენილია აქტივების და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მათი ამოღება ან გასტუმრება მოსალოდნელი, გარდა იმ მიმდინარე ანგარიშებისა, რომლებიც შესულია ერთ წლამდე ვადიან კატეგორიაში, იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი სახელშეკრულებო ვადა შეიძლება უფრო ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელდეს:

	2020 წლის 31 დეკემბერს		
	1 წელზე ნაკლები	*1 წელზე მეტი*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,828,236	-	1,828,23
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,986,555	-	1,986,55
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	2,404,777	14,236	2,419,0
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	4,732,641	8,468,346	13,200,98
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	1,186	-	1,
გადახდილი ავანსები	22,323	15,128	37,4
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,795	-	5,7
აქტივების გამოყენების უფლება	-	77,763	77,76
საინვესტიციო ქონება	-	219,005	219,0
ძირითადი საშუალებები	-	330,269	330,26
გუდვილი	-	33,453	33,45
არამატერიალური აქტივები	-	104,282	104,28
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	151,311	151,
მოგების გადასახადის აქტივები	21,325	-	21,3
სხვა აქტივები	241,329	31,239	272,56
გასაყიდად გამიზნული აქტივები	60,859	-	60,85
სულ აქტივები	**11,305,026**	**9,445,032**	**20,750,058**
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	11,975,822	1,520,656	13,496,47
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	1,503,588	1,327,118	2,830,70
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	105,770	1,344,828	1,450,59
საიჯარო ვალდებულებები	21,986	67,826	89,8
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	23,351	22,967	46,3
მოგების გადასახადის ვალდებულებები	-	59,663	59,66
სხვა ვალდებულებები	275,264	26,023	301,28
სულ ვალდებულებები	**13,905,781**	**4,369,081**	**18,274,862**
წმინდა	**(2,600,755)**	**5,075,951**	**2,475,196**

	2019 წლის 31 დეკემბერს			*2018 წლის 31 დეკემბერს*		
	1 წელზე ნაკლები	*1 წელზე მეტი*	*სულ*	*1 წელზე ნაკლები*	*1 წელზე მეტი*	*სულ*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,933,646	-	1,933,646	1,109,388	-	1,109,3
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,600,387	-	1,600,387	1,282,764	-	1,282,76
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	1,524,522	154,928	1,679,450	1,706,828	157,990	1,864,8
კლიენტებზე გაცემული სესხები და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	3,744,905	7,318,884	11,063,789	3,229,824	5,493,120	8,722,94
დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები	1,031	-	1,031	18,780	-	18,7
გადახდილი ავანსები	20,873	13,976	34,849	25,783	17,102	42,88
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5,719	-	5,719	8,377	-	8,37
აქტივების გამოყენების უფლება	-	90,039	90,039	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	204,885	204,885	-	132,327	132,32
ძირითადი საშუალებები	-	322,576	322,576	-	294,647	294,64
გუდვილი	-	33,453	33,453	-	33,453	33,45
არამატერიალური აქტივები	-	90,224	90,224	-	72,802	72,80
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	151,311	151,311	-	158,981	158,9
მოგების გადასახადის აქტივები	-	-	-	19,159	-	19,1
სხვა აქტივები	89,673	12,949	102,622	79,136	14,806	93,94
გასაყიდად გამიზნული აქტივები	36,285	-	36,285	42,408	-	42,40
სულ აქტივები	**8,957,041**	**8,393,225**	**17,350,266**	**7,522,447**	**6,375,228**	**13,897,675**
კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები	8,688,760	848,443	9,537,203	7,106,736	705,025	7,811,7
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	2,327,470	1,151,899	3,479,369	1,538,573	1,020,704	2,559,27
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	713,711	1,285,092	1,998,803	357,274	1,278,655	1,635,92
საიჯარო ვალდებულებები	20,113	68,422	88,535	-	-	-
დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი	33,833	10,237	44,070	38,712	1,326	40,03
მოგების გადასახადის ვალდებულებები	603	35,005	35,608	-	23,459	23,45
სხვა ვალდებულებები	97,957	-	97,957	59,721	-	59,7
სულ ვალდებულებები	**11,882,447**	**3,399,098**	**15,281,545**	**9,101,016**	**3,029,169**	**12,130,185**
წმინდა	**(2,925,406)**	**4,994,127**	**2,068,721**	**(1,578,569)**	**3,346,059**	**1,767,490**

(ათას ლარში)

30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

ბანკმა განაახლა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების გამოვლენის, შეფასებისა და მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები. ბანკის რისკის მართვის სისტემას ყველა დონეზე განიხილავს და ამოწმებს ბანკის შიდა აუდიტის დეპარტამენტი და მარწმუნებელი მომსახურების გარე მომწოდებლები.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	2020 წლის 31 დეკემბერი				
	მშობელი კომპანია	*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები*	*ზეიმლობიელი კომპანიები*	*მეკავშირე საწარმოები*	*უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა*
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	-	54,871	99	-	-
საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან	-	-	6	-	
1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი მთლიანი სესხები	-	-	13,832	-	6,721
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	-	-	7,729	-	7,79
სესხის დაფარვა წლის განმავლობაში	-	-	(19,190)	-	(5,32
სხვა მოძრაობები**	-	-	859	-	1,4
31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი მთლიანი სესხები	-	-	3,230	-	10,649
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი, 31დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(89)	-	
31 დეკემბრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, წმინდა	-	-	3,141	-	10,641
საპროცენტო შემოსავალი სესხებზე	-	-	1,541	-	42
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	-	-	(66)	-	(6
ანაბრები 1 იანვრის მდგომარეობით	39,504	50,673	9,241	3	30,476
წლის განმავლობაში მიღებული ანაბრები	252	20,391	24,628	163	23,2
წლის განმავლობაში დაფარული ანაბრები	(25,431)	(2,565)	(573)	-	(19,56
სხვა მოძრაობები**	(7,227)	855	(145)	-	(1,5
ანაბრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	7,098	69,354	33,151	166	32,620
საპროცენტო ხარჯი ანაბრებზე	(1,777)	(809)	(1,973)	-	(1,24
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	232	-	-
წლის განმავლობაში აღებული ნასესხები სახსრები	-	-	-	-	
წლის განმავლობაში დაფარული ნასესხები სახსრები	-	-	-	-	
სხვა მოძრაობები**	-	-	611	-	
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	843	-	-
სესხებზე საპროცენტო ხარჯი	-	-	-	-	
სავალო ფასიანი ქაღალდები 1 იანვრის მდგომარეობით	37,237	-	-	-	-
პერიოდის განმავლობაში მიღებული სავალო ფასიანი ქაღალდები	708	-	-	-	
პერიოდის განმავლობაში გადახდილი სავალო ფასიანი ქაღალდები	(37,298)	-	-	-	
სხვა მოძრაობები**	61	-	-	-	
სავალო ფასიანი ქაღალდები 31 დეკემბრის მდგომარეობით	708	-	-	-	-

** უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და საქართველოს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს და ბანკის წამყვან აღმასრულებელ პირებს.*

*** 2019 წელს სხვა მოძრაობები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანგარიშებში, ძირითადად, უკავშირდება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრების შეცვლას. 2018 წელს სხვა მოძრაობები, ძირითადად, გამოყოფას უკავშირდება.*

30. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2020	2019	2018
ხელფასები და სხვა სარგებელი	9,197	13,041	4,5
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია *	27,188	39,553	56,
სოციალური გადასახადის ხარჯი	-	-	
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**36,385**	**52,594**	**61,284**

** 2019 წელს და 2018 წელს წილობრივი გადახდის კომპენსაცია მოიცავდა უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისთვის განკუთვნილ 3,985 ლარს და 28,347 ლარს, შესაბამისად, რომლებიც აისახა არარეგულარულ მუხლებში.*

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა არ იღებს ფულით განსაზღვრულ კომპენსაციას, გარდა ფიქსირებული ხელფასებისა. მთლიანი კომპენსაციის დიდი ნაწილი წილობრივი ინსტრუმენტებია (26-ე შენიშვნა). უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 20 ადამიანი შედიოდა (2019 წლის 31 დეკემბერი: 22; 2018 წლის 31 დეკემბერი: 16).

31. კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, ბანკი სრულად აკმაყოფილებდა ყველა გარე კაპიტალის მოთხოვნას.

ბანკის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ბანკის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერთათვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად. ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ბანკმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლების მიზნები, სტრატეგია და პროცესები არ შეცვლილა.

სებ-ის (ბაზელ III-ის მიხედვით) კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ცვლილებები შეიტანა რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში, და შემოიღო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნები, ასევე პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი. სებ-ის მოთხოვნით ბანკმა უნდა შეინარჩუნოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი გამოითვლება ბანკის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადებულია სებ-ის დებულებებისა და აქტების შესაბამისად, ბაზელ III-ის მოთხოვნების საფუძველზე.

2020 წლის მარტის ბოლოს სებ-მა წარმოადგინა საქართველოს საბანკო სექტორის ზედამხედველობის განახლებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული უარყოფითი ფინანსური და ეკონომიკური შედეგების შემსუბუქებას.

31. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

სებ-ის (ბაზელ III-ის მიხედვით) კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (გაგრძელება)

განხორციელდა კაპიტალის ადეკვატურობის შემდეგი ინიციატივები:

- კომბინირებული ბუფერი - რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2.5%-იანი მოთხოვნის კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი 0%-მდე შემცირდა.
- პილარ 2-ის მოთხოვნები:
  - სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მოთხოვნა 2/3-ით შემცირდა.
  - ძირითად პირველად კაპიტალსა და პირველად კაპიტალზე დამატებითი საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერისა და წმინდა GRAPE ბუფერის მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც 2020 წლის მარტის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, განუსაზღვრელი ვადით გადაიდო; ამის მიუხედავად, დამატებითი სახელობითი კონცენტრაციის ბუფერის და GRAPE ბუფერის მოთხოვნების ეტაპობრივი დანერგვა გადაიდო 2021 წლის მარტის ბოლომდე სებ-ის მითითებით.
  - საჭიროების შემთხვევაში, პილარ 2-ის ფარგლებში განსაზღვრული დანარჩენი ბუფერების (სახელობითი კონცენტრაციის, სავალუტო საკრედიტო რისკის, წმინდა GRAPE ბუფერები) მოთხოვნების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების საკითხი ღია რჩება.
- ამ პერიოდის განმავლობაში ბანკებს უფლება აქვთ ნაწილობრივ ან სრულად გამოიყენონ პილარ 2-ის და კონსერვაციის ბუფერები და ეზღუდებათ კაპიტალის დისტრიბუცია ნებისმიერი ფორმით.

სებ-ისგან ქართულ ბანკებს დაევალათ 2020 წლის პირველ კვარტალში ზოგადი რეზერვების შექმნა ადგილობრივი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე, ანუ იმავე საფუძველზე, რომელიც გამოიყენება კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების გამოსათვლელად. რეზერვის კონკრეტულ მოთხოვნის რაოდენობრივი განსაზღვრა ასახავს, სებ-ის შეფასებით, შესაძლო საკრედიტო ზარალებს საბანკო სისტემის საკრედიტო პორტფელზე მთელი ეკონომიკური ციკლის განმავლობაში, არსებული ეკონომიკური მოლოდინების გათვალისწინებით. სებ-ს მიაჩნია, რომ საბანკო სისტემის კაპიტალის კოეფიციენტები საკმარისად აღემატება კაპიტალის მოსალოდნელ მინიმალურ მოთხოვნებს, რომ შეძლოს ამ წინასწარი ზოგადი რეზერვის ათვისება და, ამასთანავე, შეინარჩუნოს საკმარისი ბუფერი მინიმალური სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტების ზემოთ.

2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი იყო:

	2020	*2019*	*2018*
პირველადი კაპიტალი	1,989,190	1,887,571	1,379,9
მეორადი კაპიტალი	830,145	616,113	502,35
სულ კაპიტალი	**2,819,335**	**2,503,684**	**1,882,308**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**16,040,094**	**13,868,169**	**11,338,660**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**12.4%**	**13.6%**	**12.2%**
სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	**17.6%**	**18.1%**	**16.6%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**9.2%**	**12.2%**	**11.4%**
მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა	**13.8%**	**17.1%**	**15.9%**

31. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1998 წლის Basel Capital Accord-ის (ბაზელის შეთანხმება კაპიტალის თაობაზე) მიხედვით

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებას და გამოთვლილია კაპიტალის შესახებ ბაზელის 1988 წლის შეთანხმების მიხედვით, შემდგომი ცვლილებების, მათ შორის საბაზრო რისკებთან დაკავშირებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2020 წლის 31 დეკემბრის, 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

	2020	*2019*	*2018*
პირველადი კაპიტალი	2,414,358	2,056,986	1,697,9
გამოკლებული: დაქვითვები - გუდვილი	(33,453)	(33,453)	(33,45
მეორადი კაპიტალი	1,309,028	947,794	629,74
გამოკლებული: დაქვითვები კაპიტალიდან	(10)	(10)	(
სულ კაპიტალი	**3,689,923**	**2,971,317**	**2,294,275**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**17,029,786**	**14,428,008**	**11,541,618**
სულ კაპიტალის ადეკვატუროზის კოეფიციენტი	21.7%	20.6%	19.9%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	14.0%	14.0%	14.4%
მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	**8.0%**	**8.0%**	**8.0%**

32. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წლის იანვარში ბანკმა 60 მილიონი ევრო აითვისა ევროპის საინვესტიციო ბანკთან შვიდი წლით გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში.

2021 წლის მარტში ბანკმა 20 მილიონი აშშ დოლარი აითვისა ათწლიანი სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის თაობაზე FMO-სთან - ნიდერლანდების სამეწარმეო განვითარების ბანკთან - და სხვა მონაწილე კრედიტორებთან 2019 წლის დეკემბერში გაფორმებული და 2020 წლის დეკემბერში შეცვლილი ხელშეკრულების ფარგლებში.